


K 103-212  
3

ილინ უნივერსიტეტი



საუკუნის  
დემოკრატიული  
ქვეყნი ლაუნდონ



„სენსიტიუიტი“



745+729.5/6



ილინა უზნაქა



XI

საუკუნის  
დეკონსტრუქცი-  
-ული  
ქეგლი  
ლაუქან

K 103. 212  
3



სკეპ-2000  
შემოწმებულია

„ ხელ-უხეზ „

1 9 6 2



## შესავალი

საქართველოში სხვა დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების სახეობათა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხის მხატვრულად დამუშავება—ხეზე კვეთილობა.

ბასილ ზარზმელის, გიორგი მერჩულეს და ვახუშტი ბატონიშვილის გვიანდელი ცნობებიც საკმარისია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე უძველეს ხანაში ტყის სიმრავლის დასადასტურებლად.

სწორედ ხე-ტყის სიმრავლით უნდა ავხსნათ, რომ „ქართული სააღმშენებლო ხელოვნების საფუძველს ხით ხურობა წარმოადგენდა, და ქვეით ხურობის ტრადიცია იქიდან მომდინარეობს. ბევრი რამ, რაც ხის ხურობაში მოგვეპოვება, სწორედ ძველი ხანის ნაშთს წარმოადგენს“.\*

სამწუხაროდ, ხის არქიტექტურის მრავალი ძველი ნაშთი ჟამთა ვითარებაში დაიღუპა, მაგრამ საკმარისია გადავხედოთ არქეოლოგიური გათხრების მასალებს სამგორში, კოლხეთში და სხვ..., რათა დავრწმუნდეთ ზემოთ თქმულის სიმართლეში.

ამასვე გვიმოწმებენ ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები: ჰიპოკრატეს, ქსენოფონტეს, არიანეს, თეოდორე სიცილიელის ვიტრუვის, არქანჯელო ლამბერტის, შარდენის, ბაერნის და რადესის.

მოგვეპოვება ქართული ისტორიული წყაროებიც. მაგალითად, წმინდა ნინოს შატბერდული რედაქცია გადმოგვცემს, რომ წმინდა ნინოს მიერ აგებული პირველი ეკლესია ხისა იყო, ხოლო მეორე ქვისა.\*\*

\* ჯავახიშვილი ივ.—მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1946 წ. გვ. 33.

\*\* ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა, მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, ტფ. 1891 წ. გვ. 44.

გიორგი მერჩულეს ცნობით, გრიგოლ ხანძთელმა პირველად ძელის (ხის) ეკლესია ააშენა\*. ზემოხსენებული ტრადიციის გაგრძელებას დღესაც ვხვდებით, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ნიკორწმინდის სიველში (მე-11 საუკ.) ვკითხულობთ: „შევექენ სახლი მუხისაო.“\*\* დასავლეთ საქართველოს ფოლკლორში ხსენებული თითქმის ყველა შენობა ხისაა, ასევე სხვა რაიონებში.

სვანური „ლაბავ-ქორ“ ეწოდება დროებით საცხოვრებელ ხის სახლს, რომელსაც სვანები აშენებდნენ თავიანთ მუდმივი საცხოვრებელიდან დაწორებულ ადგილებში (ყანებში, სათიბებში).\*\*\* ეს ისეთივე სახლია, როგორც სვანური ორსართულიანი სახლი, მაგრამ უფრო პატარაა და ხისაგან არის აშენებული.

რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული ყოფილა „შუა სახლი“—ესეც ხის საცხოვრებელი სახლია, სადაც ინახება ასევე ოჯახისათვის საჭირო ჭირნახული, აქვეა სამზარეულოც.

ქართული დარბაზები, ზეგრული და ლაზური სახლები, იმერული და აჭარული ოდეები, კათხა სახლები, ეკლესიები გვიჩვენებენ, თუ რაოდენ მდიდარი და ნაირფეროვანი იყო ქართული ხის არქიტექტურა.\*\*\*\*

იმისათვის, რომ ხისაგან გაკეთებული ნაწარმოებისათვის მიეცათ მეტი სილამაზე, მათ აფორმებდნენ დეკორატიულად, რთავდნენ კვეთილობით, —ახარატებდნენ.

ტერმინ მოხარატებულს ვხმარობთ პირობითად. მას, რა თქმა უნდა, არავითარი საერთო სახარატო დაზვასთან არა აქვს. გვინდოდა გვეხმარა ტერმინი მოჩუქურთმებული, მაგრამ ხეზე კვეთილობით შესრულებული ნაწარმოებები ხშირად მორთულია არა მარტო ჩუქურთმებით, არამედ სიუჟეტური კომპოზიციებით, პორტრეტებით და სხვა.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ძალიან გავრცელებული იყო ე. წ. დარბა-

\* გიორგი მერჩულე—ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1911 წ. გვ. ი. ა.

\*\* ქორდანია თ.—ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ნაწ. მეორე, ტფ. 1894 წ. გვ. 40.

\*\*\* ჩართოლანი მ.—სვანური სახლის კერა. დისერტაცია ისტორ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1953 წ. გვ. 46.

\*\*\*\* ამ საკითხს მიეძღვნა ახლახან გამოსული საინტერესო შრომები გარაყანიძისა და ადამიასი,

სული ტიპის შენობები. ამ დარბაზებში სახურავის მთელი სიმაღლე დედაბოძეა დაყრდნობილი, ხეზე კვეთილობით კი მოჩუქურთმებული იყო განსაკუთრებით დედაბოძები.

მთიულეთში „შუათანა ბოძს დედაბოძი ან გულთბოძი ეწოდება. ძველ სადგომებში დედაბოძი ჩუქურთმებითაა დაპრელებული“.\* ხევში „სახლის ჭერი ბოძებზეა დაყრდნობილი, შუათანა ბოძი „დედაბოძია“, რომლის „თავქუდი“ მოჩუქურთმებულია და მას ხართულიანს უწოდებენ“\*\*, ასევე ფშავში\*\*\* და სხვა.

„იმერეთის საცხოვრებელი სახლისათვის ყველაზე დამახასიათებელია მდიდრულად მოჩუქურთმებული სვეტები. ჩუქურთმის ზოგჯერ აივნის სვეტებს და ბუხრის გარდა გამოყენებულია კარების, კოჭების, კერისა და სხვა ნაწილების შესამკობადაც“\*\*\*\* მორთული სვეტები მრავლად გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (რაჭაში, ლეჩხუმში, ოსეთში, ქართლში, სვანეთში და სხვა).

თრიალეთში „ოდის შემკულობა აქვს არა მარტო ბუხრის კედელზე, არამედ გვერდებსა და ბუხრის მოპირდაპირე კედლებზედაც, ხოლო განსაკუთრებით მდიდრულადაა შემკული ამ ოთახის ჭერი. ჭერში მოცემულ ორნამენტს „გულბაქი“ ეწოდება“\*\*\*\*\*

„სვანეთში მოჩუქურთმებულია ის ყრუ კედლებიც, რომლებიც საზღვრავენ აივნებსა და გადასასვლელებს სახლებსა და კოშკებში“\*\*\*\*\* ქვემო სვანეთში აჭურული ხეზე კვეთილობით რთავდნენ სასიმიწდებებს.

საეკლესიო არქიტექტურის ინტერიერის გაფორმებაში ვხვდებით საკურთხევლის კანკელებს, ჩარდახებს, საწიგნეებს და სხვა ნივთებს, რომლებიც ხეზე კვეთილობით არის მორთული.

ლეჩხუმსა, რაჭასა და აჭარაში სახლის ჭერში ძალიან ხშირად გაცემებულია მოჩუქურთმებული ხონჩები, რომლებიც გამოყენებულია ხილის ჯაგნებისათვის.

\* მაკალათია ს.—მთიულეთი, 1933 წ. გვ. 99.

\*\* მაკალათია ს.—ხევი, თბ. 1934 წ. გვ. 140.

\*\*\* მისივე—ფშავი, 1934 წ., გვ. 109.

\*\*\*\* სუმბაძე ლ. და ცინცაძე ვ.—იმერეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, ქართული ხელოვნება, II, გვ. 145.

\*\*\*\*\* ჩიტაია გ.—სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიშვის მოამბე, 1941 წ. ტ. X, გვ. 308.

\*\*\*\*\* Гр. Уварова — МАК, X, გვ. 37.

ფხუტრერის, ჩუქულის, ჯახუნდერის, აცის, მაცხვარიშის, ლეშის, ოცინდალეს, ქორეთის, მარტვილის, ყორნისის, ნაკურალეშის, ბრეთისა და სხვა ეკლესიის კარებმა საქართველოს ისტორიის მშფოთვარე საუკუნეებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია, როგორც დიდი ხელოვნებით შესრულებულმა დეკორატიულმა ნაწარმოებებმა. მრავალი მათგანი მომწიფებულ ფეოდალურ ხანას ეკუთვნის (ჩუქული, ჯახუნდერი, ფხუტრერი, სვიფი, აცი, ოცინდალე, ქორეთი და სხვა), ნაწილი კი გვიანდელ ხანას (ყორნისი, ბრეთი, მარტვილი, ოჟიო, ნაკურალეში და სხვა). მრავალი მოხარატებული ხის კარის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტულმა ცნობებმა მოაღწია (როგორიცაა, მამის, კლდისას, გელათის და სხვა).

ახარატებდნენ ასევე კარის ჩარჩოებს (ჩუქული, მღვიმევი და ა. შ.).

„კერაჲს მდიდრული მორთულობა და ლამაზი ორნამენტები ოჯახის ღირსებად ითვლებოდა სვანეთში“.\*

სვანეთში გავრცელებული იყო ე. წ. საკურცხილი. „იგი წარმოადგენს კვეთილ-ჭრელებულ დასადგმელს თლილი ხის სავარძელსკამს, რომელსაც აქვს როგორც ზურგის მისაყრდნობი საზურგე, აგრეთვე მკლავთსადრეკის დასაბჯენი ზეწრები“.\*\*

ეს სავარძელი განკუთვნილი იყო მახვმისათვის,\*\*\* ან მეტად საპატივცემულო სტუმრისათვის. თავისუფალი სვანი თავის „უშგულის აღწერაში“ წერს, რომ სვანებს „დასაჯდომად აქვს სკამები ორგვარი: ერთი „საკურცხალი“ ჰგავს სავარძელს და მეორე „ლერგიმი“ კი იმ სიგრძეა, რომ 7-9 კაცი მოთავსდება ზედა\*\*\*\*. ასეთივე სკამები ცნობილი ყოფილა მთიულეთში. „საუფროსო სკამის“ სახელწოდებით.\*\*\*\*\* ზურგდაჭრელებული გრძელი სკამი რაჭაში,\*\*\*\*\* ხევში,\*\*\*\*\* სკამლოგინი ხევსურეთში\*\*\*\*\* და სხვ. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ყოფილა ჩუქურთმებით მორთული საწოლი, რომელსაც კოჩაბანდს უწოდებენ.

\* ჩართოლანი მ. დასახ. შრომა, გვ. 30.

\*\* ჩიტაია გ. ეთნოლოგიური შენიშვნები, 1, სვანური საკურცხილი, — საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 11, 1925, გვ. 32.

\*\*\* მახვი — ოჯახის უფროსი.

\*\*\*\* გახ. „ივერია“, 1888 წ. იანვარი-თებერვალი.

\*\*\*\*\* მაკალათია ს. მთიულეთი 1953 წ. გვ. 102.

\*\*\*\*\* მაკალათია ს. მთის რაჭა, ტფ. 1930 წ.

\*\*\*\*\* მაკალათია ს. ხევი გვ. 142.

\*\*\*\*\* „სკამლოგინი ჩვეულებრივად მდიდრულ ორნამენტითაა მორთული“. გ. ჩიტაიას წვრილი ხევისრული სახლის „სენე“-ანალები ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1947 წ., გვ. 150.

ასეთივე ჩუქურთმებით რთავდნენ საწოლებს სვანეთში, ოსეთში და სხვა კუთხეებში. დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (სვანეთში, ლეჩხუმში, ხევსურეთში, რაჭაში, ფშავში, კახეთში, იმერეთში, მთიულეთში, ხევში, აჭარაში) მოჩუქურთმებული სკივრები, კიღობნები, ტახტები, განჯინები, კარადები, თახჩები, აკოები, მარნები, სალაროები, აკოები, ტუგრუცები, მაქალოხები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები (ბარის და თოხის ტარები და სხვ.) ხეზე კვეთილობით ხშირად აღამაზებდნენ ფანდურსა და ჩონგურს, სასმისებს, ჭურჭელს, ჯამებს, ფიალებსა და სხვ.

მოჩუქურთმების ტრადიცია რომ ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში, ამას ის ფაქტებიც გვიმოწმებენ, რომ ხელოვნების ძეგლებზე (ფრესკებზე, მინიატიურებზე, ჭედურობაზე) სიუჟეტური კომპოზიციების შესრულების დროს ვხვდებით მოჩუქურთმებულ ავეჯს, მაგალითად, დავით გარეჯის, უბისის, ბერთუბნის და სხვა ფრესკებზე, მესტიის სახარებაში, ხელნაწერი №-496-ში და სხვა, ჭედურობის ძეგლებზე (ცაგერის ღვთისმშობლის ხატზე, საფარის საკურთხეველის კანკელზე და სხვ.)\*

უკანასკნელ ათეულ წლებში ხალხურ შემოქმედებაში გავრცელდა ხეზე კვეთილობით სიუჟეტურ-თემატური სურათების და პორტრეტების შესრულება.

როგორც ზემოხსენებულიდან დავინახეთ, ხეზე კვეთილობით ირთვებოდა და დეკორატიულად ფორმდებოდა არქიტექტურა, ავეჯი, ინსტრუმენტები, ჭურჭელი მთელ საქართველოს ტერიტორიაზე და ამის გამო ვერ გავიზიარებთ გრ. უვაროვას მოსაზრებას, რომ სვანეთში, თურმე... „впервые замечаем значительное присутствие деревянной мебели: кресла, диваны, аналой и сундуки срезанными вглубь орнаментом, чего не замечаем в остальной Грузии“.\*\*

კიდევ უფრო გვაკვირვებს გ. ლეჟავასა და მ. ჯანდიერის მიერ დასმული იგივე საკითხი.

„Большой интерес представляет вопрос, откуда сваны заимствовали столь разнообразную у них традицию мебели, тогда как на Кавказе вообще и в Грузии в частности этой традиции

\* ავეჯი ძველ ფრესკებსა და ჭედურ ხელოვნებაში, ნიმუშების კრებული, 1941 წ., თბ., ტაბ. VI, XII, XIV და სხვ.

\*\* Гр. Уварова—Сванетия, МАК, X. М., 1904, გვ. 37.



наблюдать не удается“!)\* თუმცნაწილობრივ ამ საკითხს თვითონვე უარყოფენ თავის შემდგომ ნაშრომში\*\*, როდესაც იხილავენ ოსეთის, რაჭის, ხევსურეთის არქიტექტურას.

ზემოაღნიშნული მასალების გაცნობის შემდეგ იმის მტკიცება, რომ მთელს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ხით მოხარატება არქიტექტურის ინტერიერის და ექსტერიერის ავეჯის ჩათვლით, ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია. გრ. უვაროვას, გ. ლეჟავასა და მ. ჯანდიერის განცხადება კი უსაფუძვლოა და მასალის ნაკლები შესწავლით უნდა აიხსნას.

რაც შეეხება ლიტერატურას ზემოხსენებული საკითხების შესახებ, მდგომარეობა მეტად სავალალოა. მე-19 საუკუნეში განსაკუთრებით მოდამი იყო მოგზაურობანი „თოვლისა და კოშკების ქვეყანაში“, „სამეგრელოს ალბებში“, „კავკასიის საყურადღებო კუთხეებში“, „ყინულოვან რკალში“ და სხვ.

დროს გასატარებლად და სახელის უკვდავსაყოფად ქართულ ძეგლებს სწავლობდნენ უმეტესად ისტორიკოსები და არქეოლოგები, რომლებიც ძეგლებს ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით არ იხილავდნენ. ხშირად მათი ცნობები მეტად ფრაგმენტული იყო.

ჩვენს მიერ გამოყენებული ლიტერატურა მიძღვნილია ცალკეულ სხვადასხვა საკითხებისადმი, ისე როგორც გ. ჩუბინიშვილის ნაშრომი გლეხის დარბაზისადმი, გ. ჩიტაიას ნაშრომი—საკურცხლისადმი და სხვ.

სპეციალური ლიტერატურა, მიძღვნილი დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნებისადმი, თითქმის არ არსებობს, თუ, რასაკვირველია, არ ჩაეთვლით მ. ბაბენჩიკოვის მიერ 1949 წელს გამოცემულ შრომას „Народно-декоративное искусство Закавказья и его мастера“. შრომა 4 თავისაგან შედგება: შესავალი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ავტორი თვით არ იცნობს საფუძვლიანად თავის ბიბლიოგრაფიაში მოტანილ მასალას, იგი ურევს ძეგლებს ერთმანეთში; არის შემთხვევები, როდესაც ერთსადიმავე ძეგლს ხან საქართველოს მიაკუთვნებს, ხან კი სომხეთს, მაშინ, როდესაც ხელოვნების ისტორიაში ძეგლი ცნობილია როგორც ქართული ხელოვნების ნიმუში. ხშირად ძეგლის აღწერილობა არ

\* Лежава Г. и Джандиери М.,—Архитектура Сванетия, გვ. 12.

\*\* Джандиери М. и Лежава Г.—Архитектура горных районов Грузии, М., 1940 г.

არის სწორი. ბაბენჩიკოვი ვერ ერკვევა ქართულ ფრესკებში. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცვლის ძეგლის თარიღს, მაშინ, როდესაც ეს ძეგლი უკვე დათარიღებულია სპეციალურ ლიტერატურაში და ეს მასალა თავის ბიბლიოგრაფიაშიც მოჰყავს, ე. ი. მას იცნობს. ასე უსაბუთოდ საკითხის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ხშირად ბაბენჩიკოვი ვერ ერკვევა ქართული ხალხური სახვითი ხელოვნების სპეციფიკაში და არასწორ დასკვნებს იძლევა. არ არის დაზღვეული შეცდომებიდან წიგნის ილუსტრაციებიც. ძალიან ხშირად დამახინჯებულია სახელწოდებები. ავტორს ისიც ვერ გაურკვევია, სად თავდება ხალხური ხელოვნება და სად იწყება პროფესიული\*.

1949 წელსვე გამოიცა ალბომი „Народно-декоративное искусство СССР“, რომელიც შედგენილია ბ. ვეიმარნისა და პ. სისოვეის მიერ. ამ ალბომში ქართული ნიმუშების ხუთიოდე ექსპონატია მოცემული. ეს ნაშრომიც საგნა შეცდომებით.

ა. გაბუნია 1939-40 წლებში დასწერა მონოგრაფია: ქართული ხალხური შემოქმედების შესახებ, რომელიც თავის დროზე, შესაძლებელია კიდევ, უპასუხებდა თავის მოთხოვნილებებს, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენი მეცნიერება და ხელოვნება ვითარდება და იზრდება არამც თუ წლობით, არამედ ყოველდღიურად, ზემოხსენებული მონოგრაფიის გადაკეთება და გამოცემა ორი ათეული წლის შემდეგ, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არ იყო. ამიტომ წიგნი „ქართული ხალხური შემოქმედება“ დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან და საკითხების არასწორი გაშუქებისაგან.

მოხარატებული კარების შესახებ კი ვპოულობთ ამა თუ იმ არქიტექტურასთან დაკავშირებით გამოსულ წიგნებში და იქაც მოკლედ, მაგალითად: პროფესორ ნ. სობოლევის ნაშრომში „Русская народная резьба“, ბაჩინსკის „Резное дерево в архитектуре Средней Азии“ და სხვ.

ქართული მასალებიც ძუნწადაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია პროფ. დ. გორდევეის ნაშრომი „Мгвимская резная дверь“.

\* უნდაძე ი.—ნარკვევი, რომელიც არაფერს არ არკვევს, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ. 27 ივლისი.

დღეისათვის ამ თემაზე არსებული მასალა ბევრად უფრო გაიზარდა და ნაწილობრივ ზოგი ფაქტებიც შემოწმებული და დაზუსტებულია, რის გამოც ეს ნაშრომი ვერ პასუხობს ჩვენს დღევანდელ მოთხოვნილებას.

უღვალის (ზემო სვანეთი, ეცერის სასოფლო საბჭო) ეკლესიის კარის შესახებ, გორდევის მიერ არასწორი ცნობებია მოტანილი. ამ კარის შესახებ დ. ბაქრაძე წერდა: „Наружная дверь церкви обита железом с рельефными изображениями разных фигур, рыб и креста. Внутренняя дверь тоже окована железом, но без изображений“.\*

შემომოყვანილმა ბუნდოვანმა სტრიქონებმა სტოიანოვი, ალბათ, შეცდომაში შეიყვანა და ათქმევინა, რომ „Церковная дверь деревянная с резными наколастыми фигурами птиц, людей и животных. Такие двери большей частью из негноя я видел во многих церквях Сванетии“.\*\* ეტყობა თვითონ არ შეუშოვნებია ბაქრაძის მიერ დაწერილი მასალა.

აქად. ე. თაყაიშვილიც თვითონ უღვალში არ ყოფილა, და ისიც ბაქრაძის შრომით სარგებლობს.\*\*\* სხვებთან ერთად შეცდომაში შედის დ. გორდევიც. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს გ. ფილიმონოვი, რომ „В селении Угвали церковь св. Георгия, грубой постройки с входною железною дверью, на которой вышукло изображены люди, рыбы и кресты“,\*\*\*\* რაშიც დავრწმუნდით ჩვენი თვლით 1945 წელს.

კვლავ შეცდომაში შედის დ. გორდევაც, როდესაც ზემოხსენებულ თავის ნაშრომში წერს: „Нельзя не пожалеть и об отсутствии обнародованных снимков с обитых железом дверей в Жамыши (ჯამში, ჟამიში)“,\*\*\*\*\* და თვლის ამ კარებს მოხარატებულად. ვფიქრობთ, ეს შეცდომა ისევ ბაქრაძის შრომიდან გამომდინარეობს.

ჟამუშის ეკლესიას (ზემო სვანეთი, მულახის სასოფლო საბჭო) აქვს ხის უბრალო კარი, რომელზედაც რკინაა გადაკრული.

\* Бакрадзе Д.—Сванетия, зап. Корго, XI, 1861 г. стр. 69.

\*\* Стоянов А.—Путешествие по сванетии Зап. Корго, М. 1876 г. выш II, стр. 313.

\*\*\* თაყაიშვილი ე.—არქეოლოგიური მოგზაურობანი ლეჩხუმსა და სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937 წ. გვ. 428.

\*\*\*\* Филимонов—Сванетия в археологическом отношении М. 1876 г. выш II, стр. 313.

\*\*\*\*\* Гордеев Д.—დასახელებული შრომა.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრომების III ტომში 1950 წ. ნ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა შრომა „ხის მოხარატებული კარები ოცინდალედან, ჯახუნდერიდან და ჩუქულიდან“. მანვე ახლახან გამოაქვეყნა მონოგრაფია: *Грузинская средневековая художественная резьба по дереву* (перелом X-XI в.в.). წიგნში მეტად საინტერესო მასალაა მოცემული და შესანიშნავადაა გამოცემული.

თ ა ვ ი I.

ლაშვს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხარბ-  
ტეზული კარის აღწერილობა, კომპოზიციების  
შინაარსი და მხატვრული ანალიზი

„ეკლესიის ძველი კარი, რომლის წინა პირი შემკულია ვახის ფიცარზე ნაკვეთი სურათებით (რომელიმე პირთა ხატებით „აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვის“ ორი ხატი ჩუქურთმებით და წარწერებით). კარი დაზიანებულია, აკლია ხატებიანი რამდენიმე დაფა, იგი საშუალო საუკუნეებისაა; ერთი წარწერა იხსენიებს მიქელსა და კვირიკეს“. გრაფაში—საიდან? „XXV ლაშვს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიიდან № 1742“ შენიშვნაში—რისია არ ვიცით. 1926 წ. 20/9 ჩამოტანილია გიორგი ბოჭორიძისაგან—„გკითხულობთ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საინვენტარო წიგნში.

ჩხერიმელას შესანიშნავი ხეობიდან, რომელსაც შუაში პატარა, მოუსვენარი მდინარე ჩხერიმელა ჩაუდის, გავდივართ გაშლილ მიდამოში, სადაც ფერდობზე შეფენილია სოფელი ლაშე (ხარაგოულის რაიონი). შორიდანვე მოჩანს, გალავნისა და შენობის ნანგრევები—ეს ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიაა, უფრო ადრე კი მის ადგილას ციხე ყოფილა გალავნით.

ისტორიულ წყაროებში ეს ციხე ფიქსირებული არ არის. ზებირსიტყვიერი გადმოცემით, იგი დაუნგრევიათ რუსეთისა და საქართველოს შეერთების შემდეგ, და იმ მასალით აბაშიძეების საგვარეულო ეკლესია აუშენებია სიმონ აბაშიძეს (სიმონის შვილი-შვილი გრიგოლ დავითის-ძე აბაშიძე გასულ წელს გარდაიცვალა).

გალავანი ძველია, ახალია ეკლესია და სამრეკლო. ეკლესიის სამხრეთი კარის თავზე სააღმშენებლო წარწერა ყოფილა ქვაზე ამოკვეთილი, რომელიც ამჟამად დაკარგულია.

თუმცე ეკლესია ნახევრად დანგრეულია, მაგრამ მისი არქიტექტურული სახის დადგენა სავსებით შესაძლებელია. იგი დარბაზული ტიპის პატარა ზომის ეკლესიაა. მოხარატებული კარი ეკლესიას დასავლეთ ფასადზე ჰქონია.

როგორც აღვნიშნავთ მცხოვრებლები გადმოგვცემენ (აბაშიძეები, დევედარიანები), ეს მოხარატებული კარი დიდი ხანი არ არის, რაც ვინმე ჯაშია დევედარიანს მოუტანია ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიაში. თქმულება გადმოგვცემს, რომ ჯაშია დევედარიანს დამ გაუყიდა თათრებზე ქალიშვილი, გაჯავრებულმა ძმამ (დევედარიანები წარმოშობით სვანები არიან), ჩამოხსნა ერთ-ერთ ეკლესიას სვანეთში ეს კარი, ჩამოიტანა აქ და ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის ხატს „გადასცა“ თავისი და. ამის შემდეგ დასახლდნენ დევედარიანები იმერეთში.

ამ თქმულებაზე მეტი ცნობების შეკრება არ მოხერხდა. გავეცანით სვანეთზე არსებულ ლიტერატურას, მაგრამ ასეთი ძეგლის არსებობა აქ ვერ აღმოვაჩინეთ.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა დაგვედგინა, რატომ ეწოდება ლაშეს ეკლესიას ვანის ღვთისმშობლის ეკლესია.

მოხარატებულ კარს ცოტა რამ აკავშირებს ეკლესიასთან: მხოლოდ სახელწოდება და ის პატარა პერიოდი, რომელიც მან ამ ეკლესიაზე გაატარა. ეკლესია დაუნგრევიათ 1926 წელს და მოხარატებული კარი გიორგი ბოჭორიძეს ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადაუცია.

ძეგლი ამჟამად მუზეუმის ექსპოზიციაში იმყოფება.

როგორც შესავალში უკვე აღვნიშნული გვქონდა, საქართველომ მეტად მრავალფეროვანი და მხატვრულად შესრულებული მოხარატებული კარების კოლექცია შემოგვინახა. ლაშეს ვანის ღვთისმშობლის მოხარატებული კარი კი საინტერესოა იმიტომ, რომ მასზე ვხვდებით როგორც სიუჟეტურ კომპოზიციებს, ისე პორტრეტულ გამოხატულებებს, ორნამენტებსა და წარწერებს.

სიუჟეტური კომპოზიციებიანი ხის მოხარატებული კარი საქართველოში არ შემონახულა, გარდა ლაშეს და მაცხვარიშისა.

ლაშეს კარი ერთფრთიანია. შედგება ერთი მთლიანი ფიციონისაგან, რომელზედაც ზემოდან დაკრულია 9 ნაწილისაგან შემდგარი კარკასი და ექვსი გული. ამ კარის თავდაპირველი სახით წარმოდგენა ძნელია.

ძველი, გადმოცემებით, ისევე როგორც საფანის, მღვიმევის, ქორეთის ხის მოხარატებული კარები, ვაზისა იყო. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგის პროფ. ლ. ჯაფარიძის დასკვნით, ლაშეს ფანის ღვთისმშობლის ეკლესიის კარის მერქანი მიეკუთვნება „წვრილ გაბნეულ მილებიან მერქანთა ჯგუფს. ამ მერქნების გარკვევა შედარებით უფრო ძნელია, წარმოდგენილი ნიმუშების გარკვევა ვერ მოხერხდა, უმთავრესად ნიმუშის სიმციროს გამო.“

კარკასის ყოველი ფიცარი დამაგრებულია მთავარ ფიცარზე ნაკვედი ლურსმნებით.

კარკასი დაფარულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით. კარს გარშემო უვლის, III—IV და V—VI გულებს ჰყოფს „გეომეტრიულსახიანი“ ორნამენტი, თუმცა მასში შერეულია მცენარეული ორნამენტის ზოგიერთი სახეებიც (ნახევარფოთლები, წნული), მაგრამ რადგან ამ ორნამენტში გეომეტრიული სახეები სჭარბობს, პირობითად მას „გეომეტრიულს“ ვუწოდებთ.

I და II გულებს შუა ვერტიკალური ფიცარი და ფიცარი, რომელიც ზემო გულებს ჰყოფს ქვემო გულებისაგან, დაფარულია „მცენარეული“ ორნამენტით, კარს აკლია ორი ქვედა გული, რომელიც, გადმოცემით, ორნამენტიანი სახეებისაგან შედგებოდა. იმ მცენარეულ ორნამენტებიან ზოლზე, რომელიც I—II და III—IV, გულებს ჰყოფს შუაზე, არის წვერიანი კაცის გამოხატულება წელამდე. კარკასის მარცხენა ზოლზე ორი უხეში საკიდია.

ყოველ გულს კარკასზე აქვს ორ ხაზს შორის წვრილი, ჰორიზონტალური ხაზებისაგან შემდგარი ლენტი.

კარის პირველ გულზე ორი მოხუცის გამოხატულებაა.

კარის მეორე გულის ფიცარი წვრილი ჰორიზონტალური ხაზებით იყოფა სამ არათანაბარ ნაწილად, რომლებშიც მოთავსებულია სამი სიუჟეტური კომპოზიცია „აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპ-შეწირვის“, და არა ორი, როგორც ეს მუზეუმის საინვენტარო წიგნშია აღნიშნული.

ხელოვნების ისტორიაში ხშირად ვხვდებით ხის მოხარატებულ კარზე სიუჟეტურ სურათებს, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმიდან. მაგ. წმინდა საბინის ბაზილიკის კარზე „მოგვთა თაყვა-

ნისცემაა“, „ქრისტეს დიდება“.\* მილანის წმინდა ამბროსის ეკლესიის კარზე „დავითის ბრძოლა მხეცებთან“\*\* სევანის წმინდა მოციქულთა ეკლესიის კარზე „ქრისტე, მოციქულთა შორის ღვთისმშობელთან ერთად\*\*\* და სხვ.

ჯერჯერობით „აზრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვა“ არც ერთ ხის მოხარატებულ კარზე ცნობილი არ არის. ლაშქის ოსტატი კომპოზიციებს ქვემოდან ზევით აკითხებს მაყურებელს.

კარის III და IV გულზე მოცემულია აყვავებული ჯვრის კომპოზიციები და წარწერები, პორტრეტული გამოხატულებანი.

როგორც აღნიშნული გვექონდა, კარის პირველ გულზე გამოხატულია ორი მამაკაცის პორტრეტი. კომპოზიციის ცენტრში მთელ სიმაღლეზე კვარცხლბეკზე სამოდგრო ჯვარია, რომლის აქეთ-იქით სიმეტრიულად დგას ეს გამოხატულებანი.

პორტრეტული გამოხატულებანი არიან ფეხზე მდგომნი მთელი ტანით, მაყურებლისაკენ ანფასით. თავი და სხეულის კორპუსი პირდაპირაა, ფეხები კი პროფილში აქეთ. ორივე გამოხატულება წვერიანია, თავს შარავანდედი მოსავს. მარჯვენა წმინდანს მარცხენა ხელში წიგნი უჭირავს, მეორეს—საცეცხლური. ქვემოთ წარწერაა ქე შე მქლ კე ან (ქრისტე, შეიწყალე მიქელ კვირიკე? ამინ). ვინ უნდა იყვნენ ეს მიქელ და კვირიკე, ან კონსტანტინე, ან კირილე? (ეს უკანასკნელნიც ასეთ „კე“ ქარაგმით გვხვდება ძველ ქართულში). წმინდა კვირიკე, დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. მისი იკონოგრაფია ცნობილია არა ისეთი,\*\*\*\* როგორსაც ჩვენ გამოხატულებაზე ვხედავთ. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გამოხატულია ვინმე მღვდელმსახური ქტიტორები, რომელთაც წვლილი მიუძღვით ამ ძეგლის შექმნაში. ამის დასამტკიცებლად ხელს გვწყობს გამოხატულებათა ტანსაცმელიც, რომლებიც მღვდელმსახურების ტიპურ ტანსაცმლად არის ცნობილი.

\* Кондаков Н. П. Иконография Богоматери, т. I, Петроград, 1914 г. стр. 46, рис. 27, стр. 70, рис. 50.

\*\* დ. აიხლოვის რეცენზია ადოლფ გელდსმიტის წიგნზე, იხ. Византийский временник т. IX, Санкт-Петербург, 1902 г.

\*\*\* Лалаян Е.—Севанский монастырь, Ереван, 1912 г. стр. 26.

\*\*\*\* Чубинашвили Г. Н. Изображение Квирика в грузинской церкви. „ლიტერატურული ძიებანი“ II, თბილისი, 1944 წ.



კომპოზიციაზე მიწარი თითქმის არც კი ჩანს. ტანსაცმლის ნაოჭები ბეჭებზე და სახელოებზე ირიბად მიდის, წელს ქვემოთ კი სწორი ვერტიკალური ხაზებით ეშვება ძირს.

ოსტატი მიზნად არ ისახავს გადმოგვცეს ადამიანის აგებულება სწორად (ადამიანის სხეულის ნაწილთა თანაფარდობანი), თავი დაახლოებით ტანის 1/7 ან 1/8 უნდა იყოს. აქ კი შეფარდება ერთი ოთხნახევართანაა, ქვემო კიდურები მეტად მოკლეა და სხვ. ფიგურები მოკლებულია რელიეფობას. ოსტატს სივრცობრივი პრობლემა არ აქვს დასმული. ოსტატი სიბრტყობრივად, გრაფიკულად ასრულებს ნაწარმოებს. ტანსაცმლის ქვეშ ვერ ვგრძნობთ სხეულის პლასტიკობას, მეტად სიბრტყობრივადაა გადმოცემული აგრეთვე ხელები, ფეხები. ოსტატი თავისებურად ამუშავებს გამოხატულებათა სახეს. სახეზე რელიეფურად გამოიყოფა წარბები, ქუთუთოები, შემდეგ კი თვალის აღსანიშნავად ოსტატს მოხაზული აქვს წრე და წრეში წერტილი (თვალის გუგის აღსანიშნავად, ისევე, როგორც ოპიზის რელიეფზეა (826 წ.).

რელიეფურად გამოყოფილია ცხვირი ნესტოებით. სამაგიეროდ ტუჩების, წვერების და თმების დამუშავება მეტად ზოგად ხაზებშია მოცემული. თმებისა და წვერების ადგილები მხოლოდ კონტურული ხაზით აქვს ნაჩვენები. რელიეფურადაა გადმოცემული შარავანდედები, რომელთა ზემოთა ხაზი—პირი, საკმაოდ გამოზიდულია წინისაკენ.

ჯახუნდერის, ჩუქულის, ფხუტრერის მოხარატებულ კარებზე ვხვდებით წმინდანთა გამოხატულებებს. ესენი ნ. ჩუბინაშვილის მიერ დათარიღებულია XI საუკუნის I მეოთხედით.\* ამ კართა რელიეფები ერთმანეთისაგან მეტნაკლებად განსხვავდებიან და კიდევ მეტად ლაშეს პორტრეტული გამოხატულებებიდან. სვანეთის კარების გამოხატულებებზე მეტი რელიეფის გრძნობაა, მეტი სიცოცხლე, დეტალები უფრო რეალურად, ზუსტად და დაწვრილებითაა დამუშავებული, როგორცაა მაგალითად: თვლები, ტუჩები, თმები, წვერები. ზოგჯერ თმისა და წვერების ხვეულებიც კია გადმოცემული. სხეულის ნაწილთა შორის თანაფარდობანიც უფრო რეალურია. ტანსაცმლის ქვეშ იგრძნობა სხეული, ტანსაცმლის ნაოჭები აქ ხელს უწყობს ადამიანის სხეუ-

\* Чубинашвили Н. Грузинская средневековая художественная резьба по дереву. Тбилиси, 1953 г.

ლის რელიეფობის გადმოცემას. ხშირად ტანსაცმლის ფაქტურა-საც კი ვგრძნობთ. ამ გამოხატულებებში მათი ინდივიდუალიზაციაც არის მოცემული.

თუ რელიეფურ ფილაზე სოხუმის მიდამოებიდან (X საუკუნის შუაწლები) ერთ-ერთ ფიგურის ხელი (რომლითაც მას საცეცხლური უჭირავს) რაკურსშია გადმოცემული—იგი გაშლილია სივრცეში, მართალია, ჯერ კიდევ ძალიან გაუბედავად, მაგრამ მაინც თითქოს სიღრმიდან გამოდის.\* ლაშეში ამას ვერ ვხედავთ.

წმინდანის საცეცხლურიანი ხელი ოსტატს სიბრტყობრივად აქვს მოცემული, თუმცა იგივე ოსტატი „მსხვერპლშეწირვის“ სცენაში გვაძლევს რაკურსის ნიშნებს. სამოდგრო ჯვარს, აღმართულს ორპირთაშორის, ვხვდებით აჩაბეთის (სამხრეთ ოსეთი) ფილაზე. აქ სამოდგრო ჯვარს კვარცხლბეკად სარკმლის წარბი აქვს.

კარკასის I ჰორიზონტალურ ზოლზე იქ, სადაც კარკასის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლები ერთმანეთს ხვდებიან, მოთავსებულია წვეროსანის გამოხატულება. გამოხატულება ვერტიკალური ხაზებით გამოყოფილია მცენარეული ორნამენტისაგან. ამ გამოხატულებას ბევრი საერთო აქვს კარის პირველ გულზე მოცემულ გამოხატულებებთან. ეს გამოხატულებაც ანფასითაა, წელამდე, წვერიანი, შარავანდდით. ხელები გულთან აქვს და ორივე ხელით უჭირავს საცეცხლური. სახეც ისევეა დამუშავებული, როგორც ქტიტორთა გამოხატულებებზე. გამოხატულება ძალიან დაბალი რელიეფითაა შესრულებული, კომპოზიციურად პორტრეტი შეკრულია და კარგადაა მოთავსებული პატარა ზომის ოთხკუთხედში.

„აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვის

კომპოზიცია“

ლაშეს კარის II გულზე, როგორც აღნიშნული გვექონდა, გამოხატულია „აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვა“—სიუჟეტი აღებულია ბიბლიის ძველი აღთქმის გამოსლვათა წიგნიდან.

\* აღიბეგაშვილი გ.—რელიეფური ფილა სოხუმის მიდამოებიდან, საქ. სრ. მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XII, № 8, თბ. 1951 წ., გვ. 513.

„აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვის“ სიუჟეტი საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ ქრისტიანულ ხელოვნებაში. რომ არაფერი ვთქვათ კატაკომბებისა, სარკოფაგებისა და გემების გამოხატულებებზე. საკმარისია დავასახელოთ წებელდის ფილა,\* სტელა, ბულდაძორიდან (მარნეულის რაიონი) კათალიკოს დომენტი I-ის საბეჭდავი\*\* (მე-17 საუკუნე).

მარმარილოს ჯგუფი ხერსონესიდან (მე-IV-VI საუკ.),\*\*\* კონსტანტინეპოლის ტუფი,\*\*\*\* კოზმა ინდიკოპლეგის ხელნაწერი (IX საუკ.),\*\*\*\*\* გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგებანი (XI საუკ.),\*\*\*\*\* რავენის წმინდა ვიტალის მოზაიკები (VI საუკ.),\*\*\*\*\* სოპოჩინის ტაძრის მხატვრობა (1265 წ.),\*\*\*\*\* წმინდა აქილეს ფრესკები

\* Айналов Д. В. Некоторые памятники Кавказа—Арх. известия и заметки издаваемые имп. мос. арх. об., 1895 г., № 7-8.

Март Н. Я.—Описание дворцовой церкви в Ани, Петроград 1916 г. стр. 9; Гр. Уварова—Христианские памятники, МАН, IV, стр. 195.

ეს ძველი პირველად უვაროვას მიერ არის გამოცემული, შემდეგ კი დ. აიონალოვის (დასახელ. შრომები). უვაროვა ძველს ერთ და იმავე შრომაში სხვადასხვანაირად ათარიღებს. პირველად მიაწერს XII—XIII საუკ. (დასახ. შრომა გვ. 195), ხოლო 229 გვერდზე ამავე ნაშრომში გამოთქვამს აზრს, რომ შესაძლოა ძველი უფრო ადრინდელ ეპოქას ეკუთვნოდესო.

ნ. მარის აზრით, ძველი IX საუკუნეზე ადრინდელი არ იქნება.

დ. აინალოვი ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ „მსხვერპლშეწირვის“ კომპოზიციაში მონების შეყვანა VIII—IX საუკუნეების ხელნაწერებში დაიწყესო (ნაგულისხმევი აქვს კოზმა ინდიკოპლეგის ხელნაწერი და გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგებანი), წებელდის ძეგლს კი VII-VIII საუკუნით ათარიღებს. ამ ძეგლს პროფ. შ. ამირანაშვილი თავის შრომაში „История грузинского искусства“ მე-VI საუკუნის ბოლოთი ან მე-7 საუკუნის დასაწყისით ათარიღებს (გვ. 129 და 213) ძეგლის ფრაგმენტი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში იმყოფება.

\*\* ბარნაველი ს.—გვიანი ფეოდალური ხანის ერთი ქართული საბეჭდავისათვის, მოხსენება წაკითხული ქართულ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მე-8 სამეცნ. სესიაზე, 1954 წ., იხ. თეზისები, გვ. 11.

\*\*\* Айналов Д. В. Мраморная группа жертвоприношения Исаака. Сборник статей по археологии и византиноведению, издаваемый семинарием Н. П. Кондакова, Прага, 1927 г.

\*\*\*\* Айналов Д. В.—Эллинистические основы византийского искусства, отд. оттиски из зап. русск. арх. общества, т. XII, СПб, 1904 г. 83. 167.

\*\*\*\*\* Кондаков Н. П. История византийского искусства, Иконография по миниатюрам греческих рукописей, Одесса, 1876 г., 83. 94.

\*\*\*\*\* იქვე, 83. 178.

\*\*\*\*\* Лазарев В.—История Византийской живописи, Т. II, М., 1948 г., таб. 30, т. I, 83. 59.

\*\*\*\*\* იქვე, 83. 176.

არჩილში (XIII საუკ. ბოლო),\* ანისის რელიეფები,\*\* ახტამარის რელიეფი (X საუკ.),\*\*\* რუსი გლეხის სათამაშოები,\*\*\*\* ბერლინის და ბოლონის პიქსიდები, ვენის კოლექციის, ეგვიპტის ქრისტიანული ქსოვილი და სხვ.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყველა ზემოხსენებულ ძეგლში ეს სიუჟეტი თავისებურადაა გადაწყვეტილი და ვარიანტებიც მრავალია, ზოგი უფრო ვრცელი, ზოგი კი მოკლე:

ამ ამბის შესახებ ბიბლიაში ვკითხულობთ:

1. „და იყო შემდგომად სიტყვისა ამის, ღმერთმან გამოსცა და აბრაჰამი და ჰრქუა მას: აბრაჰამ, აბრაჰამ, ხოლო მან ჰრქუა მას: აქა ვარ, უფალო.

2. და ჰრქუა მას: მოიყვანე ძმ შენი საყუარელი, რომელი შეიყუარე, ისაკი, და წარვედ ქუეყანასა მაღალსა და შეწირე იგი მუნ მსხუერპლად ერთსა ზედა მათთ განსა, რომელსა გრქუა შენ.

3. და აღდგა აბრაჰამ განთიად და დაასხნა კარაულსა თვსსა და წარიყვანა მის თანა ორნი მონანი და ისაკი ძც თვისი და დაკოდა შეშაჲ მსხუერპლისათვს, აღდგა და წარვიდა, და მოვიდა მას ადგილსა, რომელსაცა ჰრქუა მას ღმერთმან მესამესა დღესა.

4. და აღიხილნა თუალნი აბრაჰამ და იხილა ადგილი იგი შორით.

5. ჰრქუა აბრაჰამ მონათა თვისთა; დასხედით მანდა კარაულსა თანა და მე და ყრმაჲ ესე წარვიდეთ ვიდრე იქმდე თაყუანის-ვსცეთ და მოვაქციოთ თქუენდავე.

6. წარიღო შეშაჲ იგი მსხუერპლისაჲ და აღჰვიდა ისაკს, ძესა თვსსა. მოიღო ცეცხლიცა და დანაკი და წარვიდეს ორნივე ზოგად.

7. ჰრქუა ისაკ აბრაჰამს, მამასა თვსსა: თქუ, მამო, ხოლო მან თქუა: რაჲ არს, შეილო და მან ჰრქუა: აჰა ცეცხლი და შეშაჲ; სადა არს ცხოვარი მსხუერპლისაჲ?

\* იქვე, გვ. 177.

\*\* Март Н. Я.—დასახელებული შრომა, გვ. 9.

\*\*\* Лалаян В.—Ахтамарскѣй монастырь, св. Креста, Агс 1918 г.

№ 2-3.

\*\*\*\* Черетѣли Н.—Русская крестьянская игрушка, М., 1933 г.

გვ. 76.

8. ჰრქუა აბრაჰამ: უფალმან იხილოს თავისა თვისისა, ცხოვე-  
არი მსხვერპლისაჲ ვილო, წარვიდეს ორნივე ზოგად.

9. და შიწირეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქუა მას ღმერთ-  
მან და უწმნა მუნ აბრაჰამ, საკურთხეველი უფალსა და დაასხა შე-  
შაჲ და შეკრა ისაკი, ძჳ თვისი და დადგა იგი საკურთხეველსა მას  
ზედა შესასა მას.

10. და გაწყო კელი მოღებად მახლისა და დაკლვად ძისა  
თვისისა.

11. უწოდა მას ანგელოზი უფლისაჲ ზეცით და ჰრქუა; აბ-  
რაჰამ, აბრაჰამ და მან ჰრქუა: აჰა, აჰა ვარ.

12. და ჰრქუა: ნუ მიჰყოფ, კელსა შენსა ყრმასა მაგას ზედა,  
ნუცა უყოფ რას ნურარას, აწ უწყი, რამეთუ გემინის, შენ ღმრთი-  
სა და არა ჰრიდებ ძესა შენსა საყუარელსა ჩემთვისა.

13. და აღიხილნა თუალნი თვისნი აბრაჰამ და იხილა და აჰა  
ესერა ვერძი ერთი და, მოეკიდა რქითა ნერგსა საბეკსა და მორ-  
ბიოდა აბრაჰამ და მოიბა ვერძი იგი და შეწირა იგი მსხვერპლად  
ისაკის წილ ძისა თვისისა“.\*

ლაშეს ეკლესიის კარის მეორე გული, როგორც აღნიშნული  
გვეკონდა, ჰორიზონტალური ხაზებით გაყოფილია სამ არათანაბარ  
ნაწილად. პირველ სურათში (ქვემოდან) ოსტატი გადმოგვეცემს იმ  
მომენტს, როდესაც აბრაამი სტოვებს თავის მონას სახედართან  
და თვითონ შვილთან ერთად მიდის სამსხვერპლოსაკენ.

ოსტატი აქ სცილდება ბიბლიის ტექსტს. ტექსტში ნათქვა-  
მია, რომ აბრაამმა „წაიყვანა მის თანა ორნი მონანი“ და არა  
ერთი, როგორც ამ ძეგლზეა გამოხატული. ამ კომპოზიციის შე-  
სახებ დ. აინალოვი წერს: „Деталь (мона сахедრით, ი. უ.) совер-  
шенно неизвестная из древне-христианских памятников и появ-  
ляющихся в рукописях VIII-го—IX века\*\* და მაგალითისათვის  
ასახელებს კოზმა ინდიკოპლევსის ხელნაწერს და გრიგოლ ნაზიან-  
ზელის ქადაგებანს. ამავე საკითხზე ნ. კონდაკოვი წერს: „Можно  
отметить только как попытку к натурализму, введение в сцену  
впервые двух рабов (ლაპარაკია აქაც კოზმა ინდიკოპლევსის ხელ-  
ნაწერის „მსხვერპლშეწირვის“ კომპოზიციასზე, ი. უ.) с оседланны-

\* ძველი ქართული ენის ძეგლები. ტ. I, ხაკვეთი I, დაბადებისაჲ გამოსლ-  
ვათაჲ, თბ., 1947 წ., გვ. 13.

\*\* Айвазов Д.—Некоторые памятники. გვ. 243.

мы мулами, которые играют такую видную роль в флорентийских барельефах".\*

ლაშეს კარზე ისევე, როგორც წებელდის ფილაზე, მოცემულია მონა და სახედარი იმ განსხვავებით, რომ წებელდის ფილაზე მონა მარცხნივია, სახედარი მარჯვნივ, ლაშეს კარზე კი პირუკუ. ამ უკანასკნელს ერთმანეთისაგან ხე ჰყოფს.

წებელდის ფილაზე მონას მარცხენა ხელში სახედრის აღვირი უჭირავს, ლაშეში—ფარი, მარჯვენა ხელში ორივეს გრძელი საგანი უჭირავთ. რადგანაც ლაშეში მეორე ხელში ფარი აქვს, მარჯვენა ხელში, რა თქმა უნდა, შუბი ექნება. ლაშეს კარზე მონის გამოხატულება უფრო მეომრის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მონისას.

კოხმა ინდიკოპლევსის ხელნაწერში ორი მონაა (ისევე, როგორც ბიბლიის ტექსტი გადმოგვცემს). ერთ მათგანს სახედრისათვის აღვირში აქვს წავლებული ხელი, მეორე მონა კი უკან მისდევს სახრით. ყველა გამოხატულებაზე სახედრები აკაზმულები არიან. ლაშეს კარის სახედარზე ნათლად მოჩანს აფშარა, კურტანზე და საოფლეზე ორი მოსართავი. სახედარი მშვიდად დგას გაშლილი ფეხებით, მის წინ მცენარეა. ზემოდან მოდის თოკი ყელამდე; სახედრის გამოხატულება ოსტატს შესანიშნავად აქვს გადმოცემული, თავისი აგებულებით, პროპორციებით, ბუნებრივი პოზით და სხვ.

წებელდის სახედარს აქვს აფშარა, კურტანი და სამუე. მოჩანს უკანა მოსართავი, აღვირი არა აქვს. კურტანზე სამკუთხა ჯოხია, რომლის დანიშნულება გაურკვეველია.

კოხმა ინდიკოპლევსის სახედარი ცხენს უფრო ჰგავს, ვიდრე სახედარს, თუმცა კუდი და ყურები ჯორისა აქვს, დანარჩენი—ცხენის.\*\* ბიბლიის მიხედვით, აბრაამმა სახედართან დაჯდომა უბრძანა მონებს. მიუხედავად ამისა, მონები ყველა მოცემულ გამოხატულებაში ფეხზე მდგომი არიან. მონები როგორც ლაშეში, ისე წებელდაში ანფასით არიან გამოხატულნი, მთელი ტანით (ლაშეში მონას მარცხენა ფეხი პროფილში აქვს), ორივე მონა

\* Кондаков К. П.—История византийского искусства, гл. 76.

\*\* ამგვარივე გამოხატულებაა გრიგოლ ნახიანელის ქადაგების მსხვერპლ-მწიგნობრის სცენაში და კონდაკოვი მას უკვე ცხენს უწოდებს და არა სახედარს (იხ. დასახელებული შრომა, გვ. 178).

თავშიშველია, თუმცა წებელდაში ფიგურა ნაწილობრივ დაზიანებულია. არც ერთ ამ ძეგლში ოსტატებს მიზნად არა აქვთ დასახული ზუსტად გადმოგვცენ ადამიანის ფიგურა (ანატომიურად), ამიტომ სხეულის ნაწილთა შორის შეფარდებანი აქ დაცული არაა. (მაგ. ლაშეში თავის შეფარდება ტანთან 1—4-თანაა და არა 1—6-თან, ან 1—7-თან). მონის ქვედა კიდურების ქვედა ნაწილიც ძალიან მოკლეა და ა. შ. ხაზთა მოძრაობაში სიმშვიდეა. ლაშეს კარის გამოხატულებაზე მონას აცვია „კაბა“, რომლის ზედა ნაწილში ნაოჭები სახელოებთან იშლება, ხოლო ქვევით კი ვერტიკალური ხაზებით ეშვებიან ძირს. სხეულის რელიეფი არ იგრძნობა ტანსაცმლის ქვეშ. წებელდაში მონას მთლიანი კაბა აცვია, ნაოჭები ბეჭებიდან გულისაკენ ირიბად მოდის, შემდეგ კი ვერტიკალური ხაზებით ეშვება ძირს უფრო ღრმა ნაოჭებად, ფეხებზე ორივეს ერთგვარი ფეხსაცმელი აცვია.

მეორე კომპოზიციაში გადმოცემულია აბრაამისა და ისააკის „მოგზაურობა“ სამსხვერპლო ადგილისაკენ. „აბრაჰამმა წარიღო შეშაჲ იგი მსხვერპლისაჲ აღჰკიდა ისაკს, ძესა თვსსა, მოიღო ცეცხლიცა და დანაკი და წარვიდეს ორნივე ზოგად“. გაკვირვებული ისააკი ეკითხება მამას: „აჰა ცეცხლი და შეშა სადა არს ცხოვარი მსხვერპლისაჲ“, რაზედაც მამა უპასუხებს, რომ „უფალმა იხილოს თავსა თვსისა“.

კომპოზიციას ოსტატი ორ ხეს შორის შლის, მარცხნივ ისააკია მთელი ტანით, ანფასით. იგი ჭაბუკია და არა ბავშვი, როგორც ეს ვენეციის წმინდა მარკოზის ბარელიეფებშია მოცემული,\* ან კოზმა ინდიკოპლევისს ხელნაწერში და რავენის მოზაიკაში\*\* და სხვ. ისააკს ზურგზე შეშა აქვს გადებული, ორივე ხელს შეშას აშველებს. იგი თავშიშველია, უშარავანდელოდ. აცვია იგივე ტანსაცმელი, როგორც მონას პირველ კომპოზიციაში, თუმცა ნაოჭები აქ უფრო ენერგიულია და წინ წინსაფარივით აქვს აფარებული რაღაც ნაოჭებიანი.

ისააკს მარჯვნივ მიჰყვება აბრაამი, მოძრაობა მარცხნიდან მარჯვნივ მიიმართება. აბრაამიის გამოხატულება ანფასშია, თუმცა ფეხები მამა-შვილს პროფილში აქვთ. მამა თავშიშველია და შარა-

\* Гагарин Г.—Собрание византийских, грузинских и древне-русских орнаментов и по памятников архитектуры (ტაბ. 11).

\*\* Лазарев В.—დასახელებული შრომა, ტ. II, ტაბ. 30.

ვანდელი მოსავს, წვერულვაშიანია. რედინი\* აღნიშნავს, რომ აბრაამის ყველა გამოხატულებას აცვია ხიტონი ან გიმატიანო, ჩვენ გამოხატულებაზე კი აბრაამს თავისებური ტანსაცმელი აცვია, რომელიც განსხვავდება როგორც ხიტონისაგან, ისე გიმატიისაგან.

აქაც ისევე, როგორც წინა გამოხატულებებში, ოსტატის მიზანი არ არის ფიგურათა სწორი გადმოცემა, არამედ მას სურს მაყურებელს შეუქმნას ემოცია, გადმოგვცეს კომპოზიციის შინაარსი, მისი დრამატიზმი, თუმცა გაუმჟღავნებელი. ოსტატმა დაძაბულობა და დრამატიზმი შეიტანა სცენაში. ეს ნელი „მსვლელობა“ სვედითა და მწუხარებით სავსე. თითქოს ისააკი გრძნობს წინასწარ რაღაც საშინელებას, აბრაამის სულში კი ბრძოლაა—უფლისა და შვილის მოვალეობასა და სიყვარულს შორის. მარჯვენა ხელით აბრაამი ზეცისაკენ უთითებს, მარცხენა ხელში კი ძალიან დიდი ზომის მახვილი უჭირავს. ბიბლიის მიხედვით, აბრაამს დანაკი უჭირავს, რაც საბა ორბელიანის განმარტებით საშუალო ზომის „დანას“ ნიშნავს\*\* და არა დიდ მახვილს, როგორც ოსტატმა მოგვცა. ოსტატმა ზეცისაკენ გაწვდილი მარცხენა ხელი (აბრაამის) და მახვილი წინასწარი განზრახვით გაადიდა ემოციური მხარის ხაზის გასასმელად. აბრაამის ეს ხელი ძირს ჩამოშვებული რომ წარმოვიდგინოთ, იგი ფეხის ტერფამდე დასწვდება. ავტორს გადიდება დასჭირდა იმისათვის, რათა მაყურებლისათვის ეჩვენებინა, რომ სწორედ ამ მახვილმა უნდა შეასრულოს საშინელი აქტი. ბიბლიის მიხედვით, აბრაამს ცეცხლიც მიაქვს თან, ჩვენ სურათზე კი ეს არ ჩანს.

ექსპრესიულად ფიგურების ზოგიერთი ნაწილებისა და საგნების გადიდება ხშირად მიმართავდნენ IX-X-XI საუკუნის ოსტატები, მაგალითად: ოპიზის რელიეფზე (826 წ.),\*\*\* ზარზმის ფერისცვალების ხატზე (886 წ.),\*\*\*\* ნიკორწმინდის ფასადის რელიეფზე,\*\*\*\*\* შიო მღვიმის საკუროთხევლის კანკელზე\*\*\*\*\*.

\* Редин Г.—Мозаики равенских церквей. С.—Петербург, 1896 г. გვ. 130.

\*\* საბა-სულხან ორბელიანი—ქართული ლექსიკონი,—1928 წ., გვ. 88.

\*\*\* Амиранашвили Ш.—История грузинского искусства, М., 1950 г. ტაბ. 111.

\*\*\*\* იქვე, გვ. 214, ტაბ. 117.

\*\*\*\*\* ალადაშვილი ნ.—ნიკორწმინდის რელიეფის ფასადების სკულპტურის შესახებ შუა საუკუნეში.

\*\*\*\*\* Вольская Н.—Рельефы из Ш. Мгвиме и их место в развитии грузинской средневековой скульптуры. Кандидатская диссертация, Тб. 1953 г.

დამტოვებელი კუროპალატის ჯვარზე\* და სხვ.

კომპოზიციის შესაკრავად ოსტატს ორივე მხარეს ხეები აქვს მოცემული. სურათში ვერ ვხედავთ მიწარს. კომპოზიცია შოთაესგებულია ორ ხაზს შუა. მოქმედი პირები პირდაპირ დგანან ქვედა ხაზზე და თავები ზემო ხაზზე აქვთ მიბჯენილი. ავტორი წინა პლანზე ჰორიზონტალურად შლის კომპოზიციას, უკანა პლანი და სივრცე მას არ აინტერესებს. ფიგურების გამოხატულებების არაპროპორციულობას აქაც ვხვდებით.

ეს სცენა წებელდის ფილაზე, ბულდოქორის სტელაზე, დომენტი მეორის საბეჭდავზე, ხერსონისის მარმარილოს ჯგუფზე და კონსტანტინეპოლის ტუფის რელიეფზე არ გვხვდება.\*\* ვენეციის წმინდა მარკოსის ბარელიეფზე კომპოზიცია სწორედ აქედან იწყება. აქ ორი სცენაა: ერთი ეს „მსვლელობა“ და მეორე თვით მსხვერპლშეწირვის აქტი. ამ ორ სცენას შუაზე ხე ჰყოფს, მოძრაობა აქაც მარცხნიდან მარჯვნივსაკენაა მიმართული. აბრაამს ხელჩაკიდებული მიჰყავს ბავშვი ისააკი. აბრაამი ანთხასით არის მაყურებლისაკენ. ისააკი ტანით მაყურებლისაკენაა, თავი კი პროფილში აქვს, ორივენი ფეხშიშველნი არიან. ისააკს აცვია პერანგი, აბრაამს კი გიმატია. აბრაამი უშარავანდედოა, მას ხვეული თმები ბეჭებზე სცემს. ერთი ხელი ბავშვისათვის აქვს ჩაკიდებული, მეორეში ცეცხლი უჭირავს. დანა ამ კომპოზიციაში არ ჩანს.

კოზმა ინდიკოპლევსის ხელნაწერში აბრაამი ერთხელაა გამოხატული თვით მსხვერპლშეწირვის დროს, ისააკი კი ორჯერ: ისააკი აქ მარტო მიდის შეშით ზურგზე, ტანზე პერანგი აცვია, ფეხშიშველაა.

გვიანდელი პალესტინის რელაქციებში ცვლილებები შეაქვთ მსხვერპლშეწირვის იკონოგრაფიაში, გამოხატავენ კიბეს, რომლის საშუალებითაც მიდიან აბრაამი და ისააკი სამსხვერპლო ადგილისაკენ.

\* Чубинашвили Г. Н.—Золотых дел мастера Асата работа для Таоесского владельца царя царей Давида Курапалата. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV, თბ., 1948 წ.

\*\* Айналов Д.—დახახლებული შრომა. ტაბ. 2.

ქმსაჲ კომპოზიციაში აბრაამს შეშისაგან გაუკეთებია სამსხვერპლო, გაუშიშვლებია და შეუკრავს ისააკი, დაუსვამს სამსხვერპლოზე, მოუღერებია მახვილი დასაკრავად, მაგრამ ამ დროს მოესმის ანგელოზის ხმა, რომელიც აუწყებს უფლის ახალ სურვილს, რომ ნება ეძლევა თავისი საყვარელი შვილის ისააკის მაგიერ შესწიროს ვერძი.

კომპოზიციის იქით-აქეთ კვლავ ხეებია, ცოტა უფრო სხვაგვარი ნაყოფით, ვიდრე პირველ კომპოზიციაში. ასეთი ხეების ანალოგიას ვხვდებით ურთხვის\* კანკელის (XI საუკ.) „ქრისტეს გამოცხადების“ კომპოზიციაში. მარჯვნივ სამსხვერპლოა შეშით აშენებული, ზედ ხელშეკრული შიშველი ისააკი ზის, ტანი ანთასშია, სახე 3/4-ით. მოკლედ შეკრეჭილი თმები შედარებით უკეთაა დამუშავებული, შიშველი სახით ისააკი ზემოხსენებული ძეგლებიდან მხოლოდ ხერსონისის მარმარილოს ჯგუფზე გვხვდება.\*\* დანარჩენ ძეგლებზე ყველგან ჩაცმულია.\*\*\* თუ მეორე სურათში ავტორი იძლევა ჭაბუკი ისააკის გამოხატულებას, აქ ისააკი უფრო ბავშვია. ისააკს თავს ადგია მახვილმოღერებული აბრაამი. აბრაამი მეტად ინამიკურ პოზოშია მოცემული. მას სურს მახვილის სწრაფი მოქვეით თავი მოკვეთოს ისააკს, მარცხენა ხელით მისი თმები უჭიკავს, მარჯვენა ხელით ფეხებს აკაგებს. ტანი ანთასში აქვს, თავი 3/4-ით მიბრუნებული მარჯვნივ ზეცისაკენ; ეს ის მომენტი, როდესაც ზეციდან ანგელოზმა გადმოსცა უფლის ნება-სურვილი. დინამიკურად გადმოცემული გაწვდილი მარჯვენა ხელი და მისი მიბრუნებული სახე დიდი ექსპრესიითაა მოცემული. თავს შარავანდედი მოსავს.\*\*\*\* არც ანგელოზი და არც მარჯვენა, კომპოზიციაზე არ ჩანს. გვერდით ხესთან, ტოტზე, ვერძია მიბმული, რომელსაც მოხდენილად მოუღერებია ყელი.

ამ კომპოზიციაში ოსტატმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი კარგი ანიშალისტია. ვერძი შესანიშნავადაა გადმოცემული აგებულიებით და მოძრაობით.

\* Шмерлинг Р.—Алтарные преграды Грузии, ხელოვნება, ტ. III, ბ. 10.

\*\* Айпалов Д.—Мраморная группа...

\*\*\* შიშველი ისააკის გამოხატულება გვიჩვენებს, რომ ამ დროს ოსტატს უკვე დავიწყებული ჰქონდათ ადამიანის აგებულების სწორი გადმოცემა.

\*\*\*\* ამ კომპოზიციაში აბრაამისა და ისააკის თვალები ამოკაწრულია და მიანებულია შემდეგ ხანებში.

ამ სურათში ოსტატი გვაძლევს ცდას გადმოგვეცეს რაკურსი (ისააკის და ვერძის თავის მობრუნების დროს).

ამ სიუჟეტის სხვადასხვა ვარიანტი ხელოვნების ისტორიაში ცნობილია: ზოგი მათგანი უფრო ვრცელია, ზოგი კი უფრო შემოკლებული. ჩვენს ვარიანტზე ვერძი ოთხივე ფეხზე დგას იქვე, სხვა დეკლებზე კი ვერძი ხეზეა ჩამოკიდებული (წებელდა, ბულდაძორის სტელაზე, დომენტი მეორის საბეჭდავზე, მარმარილოს ჯგუფზე ხერსონესიდან, კონსტანტინეპოლის ტუფზე, ანისისა და ახტამარის რელიეფებზე და სხვ.) ეს ვარიანტი აღმოსავლური ქვეყნებიდან (სირიიდან) მოდის და საქართველოსა და სომხეთშიაც აქედან ვრცელდება (იხ. მარისა და აინალოვის შრომები).

ვენეციის წმინდა მარკოზის ეკლესიის რელიეფზე, კოზმა ინდიკოპლევსის ხელნაწერზე რავენის მოხაიკაზე ცხვარი ოთხივე ფეხით დგას ისევე, როგორც ლაშეს კარზე.

როგორც დავინახეთ, ავტორი შეკრულ კომპოზიციებს გვაძლევს და სურათებს შლის ჰორიზონტალურ ხაზზე, ამიტომ მას სივრცე და უკანა პლანები არ აინტერესებს, ისევე, როგორც არ აინტერესებს გადმოგვეცეს ადამიანის გამოხატულება ანატომიურად სწორად. კომპოზიციები გაწონასწორებულია. მისი მიზანია ხაზი გაუსვას ემოციურ ამბებს და ამით იმოქმედოს მაყურებელზე, რისთვისაც ექსპრესიულად ადიდებს სხეულის ამა თუ იმ ნაწილს, ან საგანს. თუ კომპოზიციის პირველ სურათში სიმშვიდეა, მეორეში ჩანს დაძაბულობა, მესამეში კი უკვე დრამატიზმი უმაღლეს წერტილს აღწევს. მას არც მასალის ფაქტურა აქვს გადმოცემული და არც ტანსაცმლის ქვეშ უსვამს ხაზს ადამიანის სხეულს. სახეს ისევე ამუშავებს, როგორც ქტიტორების კომპოზიციაში. რელიეფურად გვაძლევს წარბებს, ქუთუთოებს, შემდეგ წრეს წერტილით შუაში თვალის გუგის აღსანიშნავად (ორნამენტალურ მანერა). რელიეფურად გადმოგვეცემს ცხვირს. სამაგიეროდ წვეკრებს, თმებსა და ტუჩებს (მათი ფაქტურის გადმოცემის მაგიერ) მხოლოდ კონტურული ხაზით მოხაზავს. ოსტატს ახასიათებს ლაკონიურობა, თავდაპირილობა, რელიეფის ზედაპირის ნაპირები მომრგვალებულია. სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია აინალოვის აზრი, რომ წებელდის ოსტატი მოცემულ მოცულობაზე ვერ შლის თავის კომპოზიციებს, სამაგიეროდ ამას ვერ ვიტყვით ლაშეს ოსტატის შესახებ. ოსტატს ეხერხება კომპოზიციის აგება. ახერხებს თავისი ჩანაფიქრის კარგად განხორციელებას ამ პატარა სივრცეში.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ახლახან

ჩამოტანილია საინტერესო ძეგლი—სტელა ბულდაძორიდან (მარ-  
ნეულის რაიონი).

სტელა კვარცხლბეკზე დგას და მორთულია სხვადასხვა კომ-  
პოზიციებითა და ორნამენტული სახეებით.

კომპოზიციები ერთმანეთისაგან გამოყოფილია. ვერტიკალზე  
სტელას დაჰყვება თოკის გრებილი, ჰორიზონტზე კი სცენები და-  
ყოვილია სხვა სახით. სხვა კომპოზიციებთან ერთად სტელაზე  
ვხვდავთ „მსხვერპლშეწირვის“ კომპოზიციასაც, რომელიც მოთავე-  
სებულია ტოლმკლავიან ჯვარსა და ორნამენტულ სახეს შორის.

კომპოზიციის ცენტრში აბრაამის ფიგურა დინამიურ პოზაშია  
გამოცემული. მას, როგორც ჩანს, ხელთ აქვს ისააკზე მოქნე-  
ული დანა თუ მახვილი, მაგრამ მოესმის ანგელოზის ხმა და იყუ-  
რება მარცხნივ, სადაც კუთხეში მოცემულია სეგმენტი სხივებით,  
რომლის ცენტრში მარჯვენაა მოთავსებული; ეს დეტალი აქამდე  
ქართულ ცნობილ ძეგლებზე არ შეგვხვედრია. მარჯვენას ქვემოთ ხეა,  
რომლის ტოტებშიდაც გაბმულია ვერდი (ე. ი. ჩამოკიდებული სახით).

მარჯვნივ შეშის კონებისაგან აშენებული სამსხვერპლოა (რო-  
მელიც ლაშის სამსხვერპლოს მოგვაგონებს) და მასზე ზის ხელბე-  
შეკრული ისააკი. კომპოზიცია კარგად არის აგებული, შეკრულია,  
მიწარი თითქმის არ ჩანს. აბრაამის თავის შეფარდება სხეულთან  
1/4-თანაა. აბრაამს აცვია 2 „კაბა“. ქვემოთ კაბა უფრო გრძელია,  
ზემოთა უფრო განიერი და მოკლე, ნაოჭები სქემატურადაა დამუ-  
შავებული. თუ როგორი იყო გამოხატულებათა სახეები, სამწუ-  
ხაროდ, ამის აღდგენა შეუძლებელია ძეგლის დაზიანების გამო. რე-  
ლიეფი მალალი უნდა ყოფილიყო.

აყვავებული ჯვრის კომპოზიციები

ქართული ხელოვნების ადრეული ფეოდალური ეპოქის  
ძეგლებში ვხვდებით ქრისტიანულ ხელოვნებაში ძლიერ გავრცე-  
ლებულ აყვავებული ჯვრის კომპოზიციას, მაგალითად, მცხეთის  
ჯვრის მცირე ტაძრის კედლის მოზაიკა,\* მცხეთის ჯვრის  
დიდი ტაძრის სამხრეთ ტიმპანზე (VI-VII საუკ.),\*\* წრომ-  
ში (VII საუკ.),\*\*\* ბედიამში (XI საუკ.),\*\*\*\* სამთავროში (XI  
საუკ.),\*\*\*\*\* საფარის (XI საუკ.) და ფიტარეთის (XII საუკ.)\*\*\*\*\*

\* ჩუბინაშვილი გ. ნ.—მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, თბილისის უნი-  
ვერსიტეტის მოამბე, II, ტაბ. 7.

\*\* Чубинашвили Г. Н.—Памятники типа Джвари, таблицы, Тб.,  
1948 г. ტაბ. 24-25.

\*\*\* Tschubinachwiili L.-Georgische Baukunst. Band II, 1934 წ.

\*\*\*\* Мак IV.

\*\*\*\*\* Шмерлинг Р.—Самтавро памятник XI в., ქართ. ხელოვნ. სურ. II.

\*\*\*\*\* Шмерлинг Р.—Алтарные преграды, ტაბ. 61, № 81.

საკუროთხევლის კანკელებზე, ქუთაისის ბაგრატის ტაძარზე (XI საუკ.), სავანის სამხრეთ პორტალზე, სავანის ხის მოხარატებულ კარზე, ჩუქულის ჯვრის კვარცხლბეკზე,\* პატარა ონში, დილოში\*\* და სხვ.

ლაშეს კარის III და IV გულებზე სწორედ ეს კომპოზიცია მოგვცა ოსტატმა.

გულის სწორკუთხედის კომპოზიციის ცენტრში ტოლმკლავიანი აყვავებული ჯვარია. ჯვრის მკლავები სამლარიანი ლენტითაა დაწნული და წნულის შუა ადგილებში ნაჩხვრეტებია. ყოველი მკლავის წნულის წვეროებიდან ამოდის და ქვევით ეშვება (მკლავების პარალელურად) „მტირალი ფოთლები“. მათ შუაში ოთხივე მხარეს ფოთლებია, რომლითაც მთავრდება ჯვრის ბოლოები.

სტილიზებულმა პალმეტამ I დიდი გაგრცელება ჰპოვა XI საუკ. ქართულ ძეგლებზე.

ჯვრის კუთხეებიდან გამოდის რომბები, რომელთა გაგრძელებას წარმოადგენს თითო-თითო ფოთოლი. ეს ფოთლები მთავრდება აყვავებული ჯვრის ოთხკუთხედის კუთხეებში. ეს ფოთლის თავისებური სტილიზაციაა, რომლის ანალოგიას მცხეთისა და ურთხვის საკუროთხევლის კანკელებზე (XI საუკ.) ვხვდებით.\*\*\*

კომპოზიციის ანალოგიას ვხვდებით დილომის თეთრი გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე (XI საუკ. პირველი მეოთხედი),\*\*\*\* სავანის ეკლესიის პორტალზე (XI საუკ.) და ა. შ.

ლაშეს კომპოზიციაზე მიწარი მთლიანად დაფარულია სახეებით, თუ არ ჩავთვლით აქა-იქ სახეებში დარჩენილ პატარა არეებს. კვეთილობა დაბალი რელიეფითაა შესრულებული.

აყვავებული ჯვრის კომპოზიციები სწორკუთხედის ცენტრშია. ზევით და ქვევით დარჩენილია არეები.

ზემოთ იგი შევსებულია წარწერებით, ქვემოთ კი საქართველოში მეტად გაგრცელებული სახეებით მოცემულია გაშლილი ფოთლების მწკრივი, ზემოდან დასერილი ძარღვებით. ეს ფოთლები ზევით ერთდებიან თაღოვანი ჭდეებით.

\* Гр. Уварова—Сваниетия, *Мат.* X, გვ. 82, ნახ. 17.

\*\* ზაქარაია ნ.—დილომი, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, ტ. 17, 1953 წ. გვ. 107, ტაბ. 4.

\*\*\* Шмерлинг Р.—Алтарные преграды...

\*\*\*\* ზაქარაია ნ.—დილომი,

ამ მოტივმა თავისი ევოლუცია განიცადა: პირველად მას ქიმების სახე ჰქონდა,\* გეომეტრიზირებული სახეებიდან შედგებოდა,\*\* შემდეგ კი ქიმებს თანდათან ძარღვებით დასერილი გაშლილი ფოთლის სახე მიეცა. სიმშრალე და სტილიზაცია თანდათან იკარგება და ცოცხლდება სახე.

ეს მოტივი უმეტესად იხმარებოდა ლავგარდანების, სარკმლის სათაურების, კვარცხლბეკების, იმ პოსტებისა და სხვათა მოსართავად. ეს ორნამენტი გვხვდება სავანის კარნიზზე, კვარცხლბეკებსა და იმპოსტებზე\*\*\* (XI საუკ.), ეხვეწი\*\*\*\* (მე-XI საუკ.), იშხანში (მე-XI საუკ.),\*\*\*\*\* სამთავროში (მე-XI საუკ.), სვეტიცხოველში, მანგლისში, ნიკორწმინდაში (მე-XI საუკ.),\*\*\*\*\* კაცხში\*\*\*\*\* და სხვ.

### პარაპსის ორნამენტები

ლაშეს კარის ორნამენტებში ვხვდებით როგორც გეომეტრიულ ორნამენტს, ისე მცენარეულს. აქ გვხვდება ამ ორი სახის (გეომეტრიული და მცენარეული) ორნამენტის ერთსა და იმავე ჩუქურთმოვან არშიაში გამოიყენება, ასეთი მაგალითები კი ძალიან ხშირია ქართული ხელოვნების ძეგლებზე.

როგორც აღნიშნული გვქონდა, კარს გარს უვლის და მესამე-მეოთხე და მეხუთე-მეექვსე გულებს ჰყოფს „გეომეტრიული“ ორნამენტი.

ოსტატს აღებული აქვს ოთხყურა, რომელშიაც ჩახატულია კვადრატი. კვადრატი გაყოფილია ოთხ ნაწილად და კომპოზიციის ცენტრში იქმნება ტოლმკლავიანი ჯვარი. ჯვრის მკლავების გადა-

\* მეფისაშვილი—ვალეს ტაძარი, ქართული ხელოვნება, III, გვ. 45, სურ. 24, 25.

\*\* დღიძე ვ.—გარბანი, დისერტაცია, ტაბ. 7.

\*\*\* ბერიძე ვ.—სუვენე... გვ. 109, სურ. 17, გვ. III, სურ. 16.

\*\*\*\* ბერიძე ვ.—ეხვეწის ტაძარი „დედალვთისა“, ქართული ხელოვნება I, გვ. 44, სურ. 6.

\*\*\*\*\* Такайшвили Е.—Археологическая экспедиция в Южную Грузию, Тб., 1952 г. ტაბ. 3 და 12.

\*\*\*\*\* Шмерлинг Р.—Самтавро... გვ. 64, ნახ. 16.

\*\*\*\*\* ბერიძე ვ.—კაცხის მონასტერი, ქართული ხელოვნება, ტაბ. 23.

კვეთის ადგილებში წრეა და წრეში წერტილი. ეს მოტივი რით მიუღოდ მეორდება მთელ არეზე. ვერტიკალზე ეს სახეები ერთმანეთს უკავშირდებიან ოთხხურას კვემო და ზემო გვერდებით, მათი შეერთების წერტილებიდან აქეთ-იქით (ჰორიზონტალზე) წნულდება, ამ წნულებიდან გამოდის ნახევარფოთლები, რომლებიც იშლებიან ვერტიკალურ ხაზზე ერთმანეთის მოპირდაპირედ. ამრიგად, ეს სახეები ავსებენ დანარჩენ არეს არშიამდე, გარს არშიას წვრილი ხაზებისაგან შემდგარი ლენტი დაჰყვება.

ორნამენტი შედგენილია საკმაოდ მჭიდროდ.

ოთხხურა ქართველი მეჩუქურთმეების საყვარელი მოტივია, რის გამოც ხშირად ვხვდებით მას ქართული ხელოვნების ძეგლებზე სხვადასხვა ვარიანტებით.

ლაშეს მოხარატებული კარის გეომეტრიული ორნამენტის ყველაზე ახლო ანალოგიას ვხვდებით სავანის ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის შიგა საპირფარეო (XI საუკ.). ოთხხურაში აქაც ოთხკუთხედის ცენტრში ჯვარია. მთელი ნახატი აქაც სამი ლენტი-საგან არის მოხაზული.

მცირე ვარიანტებით ვხვდებით ამ მოტივს ნიკორწმინდის (XI საუკ.) და ახტალის (XIII საუკ.),\* სვეტების კვარცხლბეკებზე.\*\* ნიკორწმინდაში ამ მოტივის ორი ვარიანტია: ერთი ზუსტად ისეთი, როგორც ახტალაში (იხ. ერმაკოვის ფოტო № 18953) იმ განსხვავებით, რომ ოთხხურა წრეში კი არ არის, არამედ ოთხკუთხედშია. მეორე უფრო მარტივი ვარიანტია. ოთხხურას სხვადასხვა ვარიანტს ვხვდებით ჩუქულის ჯვრის კვარცხლბეკზე,\*\*\* მერიას საკურთხევლის კანკელზე (XI საუკ.).

ამ უკანასკნელთა ოთხხურებში ოთხკუთხედი, ოთხკუთხედში კი დაწული ჯვარი. აქ მოტივი თავისუფლადაა განლაგებული. (მე-XI საუკ.).

ოთხხურაში სხვადასხვა ჯვრის ვარიანტებს მრავლად ვხვდებით ქართულ ძეგლებში; მაგალითად, სვიფის ხის მოხარატებულ კარზე (ქვევიდან პირველ მარჯვენა მედალიონში) სათხეს კანკელზე,\*\*\*\*

\* ბერიძე ვ.—სავანე... სურ. 25, ტაბ. 29.

\*\* ერმაკოვის ფოტო—№ 17526—ახტალა და 18944—ნიკორწმინდა.

\*\*\* ჩუქულის ჯვარი იდგა საკურთხევლის წინ—შუა ეკლესიაში. კვარცხლბეკი ყოველი მხრიდან დაფარული იყო ქვაზე კვეთილობით. ძეგლი გამოცემულია გრ. უვაროვას მიერ. მაკ X, გვ. 82, სურ. II.

\*\*\*\* Шмерлинг Р.—Алгарние преграды. ტაბ. 82.

სამთავროში,\* მღვიმევის ეკლესიის ორნამენტებში,\*\* ქვათახევიში და სხვ.

წნულებიდან გამოსული ფოთლის ანალოგიას ვხვდებით ახტალის დასავლეთ ფასადის დეტალზე (XIII საუკ.),\*\*\* არაპირდაპირ ანალოგიას ვხვდებით ფხუტურის ხის მოხარატებულ კარზე, სადაც წნულის მაგიერ ღეროებიდან ამოდის ნახევარფოთლები, ატენის მცირე ტაძრის დასავლეთი კარის ტიპიანზე,\*\*\*\* სამთავროში და სხვ.

მცენარეული ორნამენტი დაჰყვება კარკასს პირველ და მეორე გულს შორის ვერტიკალურ ზოლად და ჰორიზონტალურ ზოლად პირველ-მეორე და მესამე-მეოთხე გულს შუა.

ეს ორნამენტი შედგება წრეების წნულისაგან, რომლებიც გარეთა ზოლით ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. წრის შიგა ზოლში მოთავსებულია ფოთოლი, რომელიც ქვევითკენ ორად იყოფა და ებჯინება წრის შუა ზოლს, რის გამოც ფოთლის შუაში წრის შიგნით იქმნება სამკუთხედი. ფოთოლი ვერტიკალზე ორად იყოფა, ისევე როგორც ოცინდალეს კარზე, წრეებს აქეთ-იქით დაჰყვება ზოლები, ისინი წრეების დასაკავშირებლად მათ პირდაპირ აკეთებენ ხეულს, წრეების გვერდებზე კი ნახევარწრეს. ლენტი სამღაროიანია. მიწარი საკმაოდ ჩანს, ორნამენტი ადვილად იკითხება, გამჭირვალეა—ჰაეროვანი.

წრეში ჩახატული ფოთოლი ხშირად გვხვდება ქართული ხელოვნების ძეგლებზე—არქიტექტურაში, დაწყებული მეთერთმეტე საუკუნიდან. ამის კლასიკურ შესრულებას ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის დასავლეთის კარიბჭეზე ვხვდებით. იმავე მოტივს ვხვდებით სამთავროს სარკმლის საპირეზე.\*\*\*\*\* თავის ევოლუციას ეს მოტივი განიცდის XII-XIII საუკ. თბილისის „ლურჯი მონასტრის“ სარკმლის საპირეზე (XII საუკ.)\*\*\*\*\* წულრულაშენის

\* Шмерлинг Р.—Самтавро. გვ. 65, ნახ. 18.

\*\* გამელაური ი.—მე-13 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მღვიმეში. საკანდიდატო დისერტაცია, ალბომი, ტაბ. 13.

\*\*\* Северов Н.—Памятники грузинского зодчества, М., 1947 г. ტაბ. 51.

\*\*\*\* ერმაკოვის ფოტო № 18947.

\*\*\*\*\* Шмерлинг Р.—Самтавро. გვ. 69, ნახ. 22.

\*\*\*\*\* ბერიძე ვ.—თბილისის ლურჯი მონასტერი, ქართული ხელოვნება, ტ. II, გვ. 103, სურ. 8.

ფასადზე (XIII საუკ.), ფიტარეთის გუმბათის ყელის ჩრდილოეთ ფასადის სარკმელზე,\* თბილისის მეტეხის სარკმლის საპირეზე (XIII საუკ.)\* გავეთის, დმანისის, ქვათახევის, მალალანთ ეკლესიის ძეგლებზე და სხვ.

ამ მოტივს ხშირად გვხვდებით ქართული ჭედურობის ძეგლებზე, მაგ., თეკალის, ლაგურკას, სუჯუნას ხატებზე და სხვ.

ფოთოლი გვხვდება ამ ძეგლებზე სხვადასხვა ვარიანტით. ასე ჩაკეტილად, დამოუკიდებლად ფოთლის გამონახატულება, როგორც ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის კარზე, არსადარ გვხვდება სხვაგან. დანარჩენ ძეგლებში იგი გარეთა ნაწილებთანაა გადანასკეული.

### წარწერები

როგორც ზემოთაც ვეჭონდა აღნიშნული, ლაშეს კარს სამი წარწერა აქვს.

სამივე წარწერა წაკითხულია აკადემიკოს ა. შანიძის მიერ.

1) ქე, შე, მქლ, ქე ან—სიტყვები დაქარაგმებულია და უნდა წაიკითხოს შემდეგნაირად: ქრისტე შეიწყალე მიქაელ. შემდეგ დაქარაგმებულია ქე, ამ ორი ასოთი დაქარაგმებოდა ძველ ქართულში სამი სახელი: კვირიკე, კონსტანტინე და კირილე. წარწერაში მოხსენებული პირების პორტრეტები გამონახატულია კარის პირველ გულზე—მღვდელმსახური ქტიტორებისა. ბოლო სიტყვა „ამინ“ ორი ასოთია გადმოცემული „ან“ და ოსტატს უადგილობის გამო ასოები ერთმანეთზე შეუსვამს.

2) ქე შე ნბი (?) სმნ

ქე შე მქლ და იოვი (?)

წარწერის ზოგი ასოს წაკითხვა საკმაოდ გაძნელდა და პირველი სტრიქონის მესამე სიტყვა (ნბი) და მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვა (იოვი) კითხვითი ნიშნის ქვეშ დარჩა. მეორე წარწერა აკად. ა. შანიძემ შემდეგნაირად წაიკითხა: ქრისტე შეიწყალე ნბი (?) სიმეონ.

ქრისტე შეიწყალე მიქაელ და იოვანე (?)

ვ) ქე შე შგსი (?) ამს კრს მო.

ესე იგი ქრისტე შეიწყალე ვინმე შგსი (?) ამის კარის მოქმედი იყო.

\* ზაქარაია ნ.—წულრუდაშენი, თბ., 1951 წ., გვ. 51.

\*\* ქართული ხელოვნება, ტ. III, ტაბ. 91.

\*\*\* ერმაკოვის ფოტო № 18094.

მესამე წარწერა განსხვავდება პირველი ორი წარწერისაგან როგორც მოხაზულობით, ისე შესრულების ტექნიკით. ეს მესამე წარწერა, როგორც მისი შინაარსიც მიგვიჩვენებს, უნდა ეკუთვნოდეს თვით კარის ოსტატს. ქართული ხელოვნების ძეგლებზე ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ოსტატები თავისი სახელის უკვდავსაყოფად მიაწერდნენ ხოლმე ძეგლზე თავის სახელს: მაგალითად, სვეტიცხოველის ტაძარზე, დავით კუროპალატის ჯვარზე\* და, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენზე ხის მოხარატებულ მღვიმეის, სვიფისა და შუამთის კარებზედაც.

ოსტატებს ძველ ქართულში მოქმედი ეწოდებოდათ და თვითაც ასე ეძახდნენ თავის თავს. მაგალითად, ასატ მოქმედი და სხვ.

მესამე წარწერაში კარის მოქმედს სურდა უკვდავეყო თავისი სახელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მისი დაქარაგმებული სახელის ამოკითხვა. როგორც აღნიშნული გვქონდა, პირველი ორი წარწერა ერთნაირია, მესამე განსხვავდება, მაგრამ სამივე წარწერა ერთდროულია.

პირველი ორი წარწერა გაკეთებულია მიცემული ნიმუშის მიხედვით და მესამე კი თავისი მხრიდან დაუმატა მოქმედმა. ასოები, უმეტეს წილ ასომთავრულია, მაგრამ შიგადაშიგ ნუსხურსაც ვხვდავთ. ასო „ე“ ორკილიანია, ქ—ს ჯვრის ფორმა აქვს მიღებული, „კ“ კუთხოვანია.

ასოების მოხაზულობა ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ წარწერები XI საუკუნეზე აღრინდელი ვერ იქნება.

#### შესრულების ტექნიკა

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ძველად საქართველოში ხეზე კვეთილობით ირთვებოდა არქიტექტურის როგორც ექსტერიერი, ისე ინტერიერი, ავეჯი, ნაციონალურ მუსიკალური ინსტრუმენტები, ჭურჭელი და სხვ.

ზემოხსენებული მიზნისათვის იყენებდნენ საქართველოში არსებული ხის სხვადასხვა ჯიშს. იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი ხის მასალა, ირჩეოდა ხის მერქანი.

ხის მერქანი ერთმანეთისაგან განსხვავდება ფერით, სიმკვრივით (плотность) და სიმაგრით.

\* Чубинашвили Г.—Золотых дел мастера Асата работа для таосского владетеля царя царей Давида Курапалата. საქართველოს მუზეუმის მოამბე № 5, თბ., 1948.

როგორც დავინახეთ თქმულებებიდან, ბევრი ხის მოხარატებული კარი გაკეთებულია ვაზისაგან, მაგრამ სწორედ ასეთი კარის რამდენიმე მერქანი იქნა შემოწმებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიური ინსტიტუტის მიერ და ანალიზების საშუალებით გამოიჩინა, რომ ისინი კაკლის, უთხოვარის და სხვა მერქნებისა (საფანე, ქორეთი, ყორნისი და სხვა).

ხეზე კვეთილობისათვის საჭირო იარაღებია: სხვადასხვა ზომის და ფორმის დანები, ჩქუთი ანუ სატეხი, ბურღი, ხერხი, შალაშინი, სახაზავი, საკუთხი, ფარგალი, თარაზო, ხის ურო, სადგისი და სხვა.

თუ დავაკვირდებით ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის კარს, დავინახავთ, რომ მიწარი (მაგალითად, მცენარეული ორნამენტი), ამოღებულია ჩქუთის საშუალებით. პატარა ზომის მიწარი კი ამოღებულია დანის საშუალებით. ლაშეს კარის პირველი გულის ჩარჩო კოვზისებური ფორმის ჩქუთითაა ამოღებული. ჯვრის დეტალები და სხვა წვრილმანი შესრულებულია დანით. დანას ხშირად ეხმარება ჩქუთი. ლაშეს კარზე ადამიანის თვალები შესრულებულია ბურღისა და ფარგლის საშუალებით და სხვ. კარზე სამი ზომის ბურღის ნაკვალევი ჩანს: ერთი ზომის ბურღი ნახმარია თვალებისათვის, მეორე სამოძღვრო ჯვრის (პორტრეტულ გამოხატულებებთან) წრისთვის, მესამე კი—ორნამენტისათვის. ფარგლის კვლევი ხშირად ჩანს კარის ზედაპირზე და სხვ.

კვეთილობის მიხედვით ვარჩევთ: 1. კონტურულ ან უბრალო „მოჭრელებით“ შესრულებულ კვეთილობას, რისთვისაც კონტურზე აკეთებენ ღრმულებს, ვლებულობთ ჩაღრმავებულ ხაზებს.

2. რელიეფურ ჩუქურთმას, სადაც ფონი ჩაღრმავებულია, მოსწორებული, ჩუქურთმის სახე კი მაღალია.

3. სამკუთხოვან დახრილ ჩაჭრით კვეთილობას (ხმარობენ უმეტეს წილ საყოფაცხოვრებო საგნებისათვის).

4. აქურულ კვეთილობას.

5. რელიეფურ გამოხატულებას.

გვხვდება ისეთი ძეგლები, სადაც ხეზე კვეთილობის სამოთხის სხვადასხვა ტექნიკა გამოყენებული, როგორც, მაგალითად ჩუქულის, ჯახუნდერის, ფხუტრერის ხის მოხარატებული კარები.

ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის ხის მოხარატებული კარი ხეზე კვეთილობის ტექნიკის პირველ, მეორე და მესამე სახეობითაა შესრულებული. აქ ორნამენტულ მოტივ

კვებში მიწარი მოსწორებულია და ორნამენტი რელიეფურად ზემოდ არის ამოწეული. ქტიტორთა გამოხატულებანი და კომპოზიციის (აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვის სურათები) რელიეფურადაა შესრულებული, თუმც მეტ-ნაკლები სიმადლით. ყველაზე დაბალი რელიეფითაა შესრულებული მოხუცი კაცის პორტრეტი კარის კარკასის მეორე ჰორიზონტალურ ზოლზე. ეს კვეთილობა უფრო უახლოვდება ხეზე კვეთილობის პირველ სახეობას, პირველი სახეობითაა შესრულებული კარკასის გეომეტრიული ორნამენტის ნაწილი და აყვავებული ჯვრის კომპოზიციის წარწერა კარის მეოთხე გულზე. ყველაზე მაღალი რელიეფითაა შესრულებული სიუჟეტური კომპოზიციები, შემდეგ პორტრეტები და ა. შ.

რელიეფური გამოხატულებებიდან მიწარზე გადასვლა ნაპირების მომრგვალებით ხდება. ბრტყელი, მოსწორებული მიწარი საშუალებას აძლევს ოსტატს რელიეფის სიმადლის მიხედვით მიაღწიოს სასურველ შუქჩრდილის თამაშს ნაწარმოებზე. კვეთილობის ტექნიკა აქ დაკავშირებულია კომპოზიციების შინაარსთან და ოსტატის მიზანდასახულებასთან. განსაკუთრებით სამართლიანად გვეჩვენება ლ. სუმბაძისა და ვ. ცინცაძის მიერ წაშოყენებული მოსაზრება, რომ „როგორც ჩუქურთმების მოტივები, ისე ამოჭრის სისტემა ქვასა და ხის ჩუქურთმაში, ძირითადად ერთნაირია“ (დასახელებული შრომა, გვ. 143). როგორც ვხედავთ, ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის კარს ქვაზეკვეთილობის ორნამენტებიდან აქვს აღებული მოტივები და კვეთილობის ხერხებიც. ყველაფერი ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პროტოტიპი ლაშეს ოსტატს ქვაზეკვეთილობიდან აქვს აღებული.

თ ა ვ ი II.

მომწიფებული ფეოდალური ხანის ხის ქართული  
მოხარატებული ქარები

ამ თავში გვინდა ზოგადად აღვწეროთ და ანალიზი გავუქეთოთ ხის ქართული მოხარატებული ქარების კოლექციას, რომელიც, ჩვენის აზრით, მიეკუთვნება მომწიფებულ ფეოდალურ ხანას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი კვლევის საგანი უკვე ყოფილა.

ჩვენს მიერ განხილული ძეგლები ჩვენთვის საჭიროა ლაშქარის დათარიღებისათვის და მისი ადგილის გამოსანახავად საქართველოს დეკორატიული ხელოვნების ძეგლთა შორის.

ჩუქულის ქარი

სოფელ ჩუქულში (ლენტეხის რაიონი ლაშხეთის სასოფლო საბჭო) ორი ეკლესია ყოფილა: ერთი უფრო ძველი — წმინდა გიორგის სახელობის, მეორე — მთავარანგელოზ გაბრიელისა. „წმინდა გიორგის ეკლესია მე-18 საუკუნეში დაუტოვებიათ და მით გაუმდიდრებიათ ახლანდელი პატარა ჩუქულის ეკლესია. ის მოჩუქურთმებული ქარიც, რომელსაც დღეს იქ ვპოვებთ, აქედან არის წაღებული.“\*

ჩუქულის მთავარანგელოზის ეკლესია პატარაა, გუმბათიანი.\*\* ქარი ორი აქვს — დასავლეთით და სამხრეთით. ამ უკანასკნელზე იყო (ამჟამადაც არის ახალი) ხის მოხარატებული ქარი.

\* თაყაიშვილი ე.— არხეოლოგიური მოგზაურობანი ლეჩხუმსა და სვანეთში 1910 წ. პარიზი. 1937 წ. გვ. 110.

\*\* ბერნოვილი ლუჯის ეკლესიას მიაწერს ამ ჩუქურთმიან ქარს გვ. 72 და მხოლოდ რამდენიმე გვერდის შემდეგ ეხება ჩუქულის მთავარანგელოზის ეკლესიას (იმავე თავში). ლუჯის ეკლესია ჩუქულის ეკლესიიდან 7—8 კმ. მანძილზეა (გვ. 89).

ჩუქულის კარი ჩამოტანილ იქნა 1941 წელს აკად. ს. ჯანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ამჟამად იგი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციონში იმყოფება. მის ადგილას კი გაუკეთებიათ ახალი კარი. ამ ახალ კარს არაფერი არ აქვს საერთო ძველი ჩუქულის ხის მოხარატებულ კართან. ახალი კარი არამხატვრულია. იგი დაბალი გემოვნების ხელოსნური ნაწარმოებია.

ჩუქულის კარი პირველად გამოსცა რატიელ ბერნოვილმა, პარიზში 1875 წელს და არა უფაროვამ, როგორც ეს ნ. ჩუბინაშვილს აქვს აღნიშნული თავის შრომაში. ამის შემდეგ კი ეს ძველი უფაროვამ გამოაქვეყნა (იხ. ტაბ. XXXIX), შემდეგ ი. ჯავახიშვილმა 1914 წ. თავის ქართველი ერის ისტორიის მეორე წიგნში, 1947 წელს სევეროვმა აღწერა იგი თავის ალბომში (ტაბ. 124) და, ბოლოს ნ. ჩუბინაშვილმა—დასახელებულ შრომებში.

რ. ბერნოვილი ამ ძეგლს ძალიან მოკლედ აღწერს, უფაროვა მასზე უფრო დეტალურ აღწერილობას იძლევა, ი. ჯავახიშვილსა და ნ. სევეროვს ძეგლის რეპროდუქცია მოჰყავთ, როგორც ხელოვნების ნიმუში, ხოლო ნ. ჩუბინაშვილი—იძლევა ძეგლის დაწვრილებით აღწერილობას, მის ანალიზს და ათარიღებს კიდევც მას.

ჩუქულის ხის მოხარატებული კარი განსხვავდება სხვა დღევანდლამდე ფიქსირებული ხის მოხარატებული კარისაგან, როგორც თავისი რთული კონსტრუქციით, ისე კვეთილობის მრავალფეროვანი ტექნიკით, მაღალი მხატვრული და სრულყოფილი შესრულებით.

კარს აქვს თავისი საკუთარი ჩარჩო, რომელიც, სამწუხაროდ, ადგილზე დარჩა და დღეს ჩუქულის ახალ კარს ამშვენებს.

კარმა ჩვენამდე თითქმის დაუზიანებლად მოაღწია, იგი რუხი ფერისაა, მხოლოდ ადგილებში ჩასმულია მონარინჯისფრო ფიქრები, ერთფრთიანია და შედგება კარკასისაგან, 9 ჩამატებული ფიქრისაგან და 28 ზედდადებული აჭურული ძელაკისაგან. მეორე მხრიდან ისევე, როგორც აცის ხის მოხარატებულ კარს, აწერია სხვადასხვა ასოები, რომლებიც, ჩანს, ოსტატის რიცხვების აღმნიშვნელი პირობითი ასოებია.

ჩამატებულ ფიქრებზე მოცემულია წმინდანთა და მთავარანგელოზთა გამოხატულებანი. ყოველ მათგანს აქვს წარწერა (წმ. მიქაელი, წმ. გაბრიელი, წმ. ლუკა და სხვ.).

ყველა გამოხატულება კამარებშია მოცემული.

სულ რვა ფეხზე მდგომი გამოხატულებაა, 14 კი—წელამდე.\*

ფიგურათა გამოხატულების განაწილებით ოსტატი ხაზს უსვამს ცენტრს, შუა ხაზზე (ვერტიკალზე) ფიგურები მთელი ტანით არიან გამოხატულნი, მკაცრ ფრონტალურ პოზებში, მაშინ, როდესაც ნახევარფიგურები ოდნავ შებრუნებული არიან ცენტრისაკენ. გამოხატულებანი დაბალი რელიეფითაა ამოკვეთილი. ეს გამოხატულებანი დიდი ვულისყურითა და მონდომებითაა დამუშავებული. მათი აგებულება, სხეულის ნაწილთა შორის თანაფარდობანი და სხვა სწორად არის გადმოცემული. ყველაფერი დეტალურადაა დამუშავებული: ცხვირი რელიეფურადაა წინ წამოწეული, ასევე წარბები, ტუჩები და სხვ. წვერების ხვეულებიც კია ოსტატის მიერ დამუშავებული. ტანსაცმელი იმდენად დეტალურადაა დამუშავებული, რომ ზოგჯერ მის ფაქტურასაც გადმოგვცემს.

წმინდანთა ეს გამოხატულებანი ყველაზე ახლო ანალოგიას პოულობს ფხუტრერის კარის გამოხატულებებთან.

შედარებით უფრო უხეშად და ზოგად ხაზებშია დამუშავებული ჯახუნდერის კარის გამოხატულებანი და კიდევ უფრო შორსაა მისგან ლაშეს კარის გამოხატულება, სადაც ყველაზე ნაკლებია ოსტატის მიზანდასახულება, გადმოსცეს ადამიანის გამოხატულება პლასტიური ანატომიის კანონების მიხედვით. აქ მხოლოდ რამდენიმე ნაკვთია რელიეფურად გადმოცემული.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ჩუქულის კარს აქვს 28 ზედადებული აჭურული ძელაკი, რომელთაგან ზოგი ჯვრის ფორმისაა (4), ზოგი ვერტიკალზე გაჭრილი ჯვრის ფორმის (4), ზოგიც რუსული ასო „ტ“-ს მავგარი; ჯვრის ორი მკლავი კი აკეთებს კუთხეს და ჰვეტავს კომპოზიციას. ეს სახეები მოთავსებულია კარის კუთხეებში (4) და ოთხ-ოთხ სახეს, რომლებიც კარკასის შუა ადგილებშია, თავი მომრგვალებული აქვთ (12). ეს აჭურული ზედადებული ორნამენტები ჩასმულია კარკასზე გაკეთებულ დაბალ ბუდეებში და შიგ ჩაწებებული უნდა იყოს. მაყურებელს აკვირვებს

\* და არა 24, როგორც ეს აკად. ე. თაყაიშვილს აქვს აღნიშნული თავის შრომაში.

აჭურული ორნამენტების მრავალფეროვნება, რომლის ანალოგია-საც ხშირად ვხვდებით შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლებზე. ეს მოტივები შედგება სხვადასხვაგვარი ლენტების, გრებილების, „მტირალი ფოთლების“, „S“-ისებური, „რვიანი“ და სხვა სახეებისაგან.

კარკასს ვერტიკალურ გვერდებზე დაჰყვება „ბრტყელი ღილების“ ზოლები. ასეთივე ზოლები დაჰყვება კარკასს ჩამატებულ ფიცრებზე. ამგვარი ლენტები ხშირად გვხვდება ქართული ხელოვნების ძეგლებზე. შორს რომ არ წავიდეთ ანალოგიებისათვის, ხის მოხარატებული კარების მაგალითებიც საკმაო იქნება: მაგალითად, ჯახუნდერის, ფხუტრერის, სვიფის, ოცინდალეს, მღვიმევის, აცის და სხვ.

აჭურული ძელაკების გარშემო ლენტია, რომელიც შედგება აქეთ-იქით ორ-ორი წვრილი ხაზისაგან. ამ ლენტებით უკავშირდებიან ერთმანეთს ეს აჭურული ორნამენტები, რომლებიც ენასკვებიან ერთმანეთს შუაში წერტილით. დანარჩენი ზედაპირი შეესგებულა ფოთლებით და ნახევარფოთლებით. კარკასის ზედაპირის კვეთილობა ძალიან დაბალი რელიეფითაა მოცემული. იგი გვევლინება როგორც მიწარი აჭურული ძელაკებისა და ჩამატებული ფიცრების რელიეფებისათვის. ნ. ჩუბინაშვილი ამ ძეგლს XI საუკ. 1/4-ით ათარიღებს.

ჩუქულის ხის მოხარატებული კარი ერთი მთლიანი მხატვრული ნაწარმოებია, რომელსაც მსოფლიო კულტურის საგანძურში საპატიო ადგილი უჭირავს.

#### ჯახუნდერის კარი

ჯახუნდერის წმინდა გიორგის ეკლესია იმავე რაიონში მდებარეობს, სადაც ჩუქულის ეკლესიაა.

სვანურ ეკლესიებთან შედარებით ჯახუნდერის წმინდა გიორგის ეკლესია საკმაოდ დიდი ზომის დარბაზული ტიპის შენობაა, ეკლესიის სამხ. შესასვლელს ამშვენებდა მოხარატებული კარი.

ჯახუნდერის კარი ჯერ კიდევ 1875 წ. უკვე თბილისის კავკასიის მუზეუმში ყოფილა,\* იგი გრაფინია ლევაშოვას „უჩუქებია“ მუზეუმისათვის. მარი ბროსეს კი კარი ჯახუნდერის წმინდა გიორგის ეკლესიაზე უნახავს სვანეთში მოგზაურობის დროს.

\* Тавайшвили Е.—დასახელებული შრომა, გვ. 106.

ჯახუნდერის კარის შესახებ გაუგებრობას ჰქონდა ადგბლი. ზოგი მას აფხაზეთიდან ჩამოტანილად თვლიდა,\* ზოგი ჩუქულიდან\*\* და ზოგი ჯახუნდერიდან. დღესდღეობით საკითხი გარკვეულია და არავისთვის სადაო არ არის მისი სადაურობა.\*\*\*

ძეგლი პირველად გამოქვეყნებული იყო გრ. უვაროვას მიერ (об. Коллекция Кавказск. Музея, გვ. 207). მის მიერვე მეორედ (Сванетия, Мак X, გვ. 127) ავტორი იძლეოდა ამ ძეგლის მხოლოდ ზოგად აღწერილობას. 1947 წელს ნ. სევეროვმა თავის ზემოდასახელებულ ალბომში გამოსცა ძეგლი, როგორც ხეზე კვეთილობის ნიმუში.

1950 წელს ძეგლი თავის გამოკვლევითურთ გამოსცა ნ. ჩუბინაშვილმა. მანვე შეიტანა იგი თავის დასახელებულ მონოგრაფიაში. ძეგლი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში იმყოფება.

ჯახუნდერის კარი ერთი მასიური ფიცრისგანაა გაკეთებული, რომელიც ამჟამად ვერტიკალურ ხაზზე ვახეთქილია, დაზიანებულია ქვედა ნაწილი. აკლია ორი ქვემო ფიცრის რელიეფი.

მთელი კარის არე, ვერტიკალურ ხაზზე, გაყოფილია სამ ვერტიკალურ ზოლად. ნაპირა ვერტიკალური ზილები ვიწროა, შუა ზოლი კი ფართოა. ეს ფართო ცენტრალური არე გაყოფილია ოთხ ნაწილად, თითოეულ ნაწილში არის პატარა ზომის წრე. ამ წრიდან გამოდის ოთხი თანაბარი მკლავი. ეს მკლავები „ცრემლის“ ფორმას მოგვაგონებენ, წრეც და ეს მკლავებიც შემოხაზულია „ღილების“ ლენტებით. ამ ლენტების შუაში ბუდეებია, რომლებშიაც აჭურული ორნამენტი ყოფილა ჩასმული. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ზედა ცენტრალური კომპოზიციის „ცრემლის“ აჭურულმა ორნამენტმა. ასეთივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი ფხუტრერის კარზე.

ამ შემორჩენილმა აჭურულმა ორნამენტმა საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ძეგლის პირვანდელი მხატვრული სახე.

\* Годовой отчет. გვ. 184.

\*\* Brosset M.—დასახელებული შრომა, გვ. 54.

\*\*\* Раде Г.—Коллекция. გვ. 176.

სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასეთივე აჭურჭლი ორნამენტით იყო შევსებული წრეებიც ცენტრში.

მკლავებს შორის არე შევსებულია სტილიზებული „მტირალი ფოთლებით“. მსგავსად ლაშეს, ჩუქულის და ფხუტრერის მოხარატებული კარებისა, ყველგან ფოთლები შედგება ორი ნახევრისაგან. გაშლილი ფოთლების ანალოგიას ვხედავთ სვიფის კარის მედალიონთა შორის შემაერთებელ სტილიზებულ ფოთლებთან, სამთავროში,\* ნიკორწმინდაში,\*\* ეს დამახასიათებელი მოტივია XI საუკუნის ძეგლებისათვის.

ზედდადებული აჭურული სახე შედგება ფოთლისაგან და წრეებისაგან. ცენტრალურ ვერტიკალურ არეს ჩამოუდის ისეთივე ღილების ლენტები, როგორც კარის ნაპირებს. ამ ზოლებს შორის დარჩენილი ვერტიკალური ზოლები დაყოფილია რამდენიმე ნაწილად. შიგ მოთავსებულია ოთხ-ოთხი ზედდადებული ფიცარი, 4 წმინდანის, 2 მეომრის და 2 ორნამენტული ვარდულას გამოხატულებანი.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ორი რელიეფური გამოხატულება დაკარგულია.

ამ ფიცრებს შორის დარჩენილი ველი დაფარულია სტილიზებული ორნამენტით.

ჩამატებულ ფიცარზე პირველ რიგში, როგორც აღნიშნული იყო, გამოხატულია წმინდანები ორივე მთელი ტანით, ანფასით, ხელში უჭირავთ რაღაც მრგვალი საგნები, ორივეს თავს შარავანდედი მოსავს, უწვეროები არიან, ტანსაცმელი მძიმე ნაოჭებით ეცემა ძირს.

ფიგურები დამუშავებულია საკმაოდ დეტელურად და რელიეფურად: ცხვირი, შუბლი, თვალები, წარბები და სხვა.

ასევეა შესრულებული მეომრების გამოხატულება მეორე რიგში. ისინი შეიარაღებული არიან ფარებით და შუბლებით. აცვიათ აბჯრები. ერთი მეომარი უწვეროა,\*\*\* მეორე—წვერიანი. შესრულების მანერა იგივეა, რაც წმინდანების გამოხატულებისა.

\* Шмерлинг Р.—Самтавро. გვ. 68, ნახ. 17.

\*\* იხ. ერმაკოვის ფოტო № 18953.

\*\*\* Чубинашвили Н.—Деревян. резные двери, ქართული ხელოვ. 3, ტაბ. 442 და 452.

ამ გამოხატულებებს თუ შევადარებთ ლაშეს, ერთი შეხედვითაც შევემჩნევთ განსხვავებას: უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სხეულის აგებულების გადმოცემაში, ფიგურათა დაყენებაში, დეტალების დამუშავებაში და სხვ.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ლაშეს ოსტატი თავის გამოხატულებებს სიბრტყობრივად გვაძლევს. ჯახუნდერის ოსტატი კი თავის წინაშე პლასტიკურ საკითხსაც სვამს და თავისებურად სწვევტს კიდევ მას.

ეს გამოხატულებანი უფრო ახლო არიან როგორც ოსტატის მიზანდასახულებით, ისე შესრულების მანერით ფხუტრერისა და ჩუქულის კარის გამოხატულებასთან, სადაც ოსტატები კიდევ უფრო მკვეთრად უსვამენ ხაზს გამოხატულებათა პლასტიურობას, დეტალების რეალისტურად გადმოცემას სივრცეში, ადამიანის აგებულების საკითხებს და სხვ.

მესამე მწკრივის ოთხკუთხედებში მოცემულ ორ-ორი ვარდულა გაშლილი ყვავილით.\* თითოეული ვარდულა მოჩარჩოებულია წრივით. კარი მოხარატებულია ხეზე კვეთილობის ტექნიკის რამდენიმე სახეობით: რელიეფური, აჟურული კვეთილობით, რომელსაც ფონი ბრტყელი, მოსწორებული და სახეამოწეული აქვს.

კვეთილობა შესრულებულია ორ დონეზე.

ჯახუნდერის ხის მოხარატებული კარი, როგორც აღნიშნული იყო ნ. ჩუბინაშვილის მიერ, არის შესწავლილი და დათარიღებული დეკორატიული მორთულობის ანალოზითა და ხელოვნების ნაწარმოებთა ანალოგიების საფუძველზე XI საუკუნის პირველი მეოთხედით.

ფხუტრერის კარი

ფხუტრერის მთავარანგელოზის ეკლესია მდებარეობს მესტიის რაიონის ეცერის სასოფლო საბჭოში. ეკლესია წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, ხის მოხარატებული კარით დამშვენებულია სამხრეთი შესასვლელი. ეს კარი დღესაც ადგილზეა. კარი გამოცემულია უვაროვას მიერ (ტაბ. 55). იგი ურთხმელისაა, ერთფრთიანი, გამჭვარტლულია და დაზიანებული. ქვედა რიგში წმინდანების გამოხატულებანი ჩამოტეხილია, ზოგი მათგანი ლურსმნებითაა მიმაგრებული. კარის ცენტრალურ ვერტიკალზე მოთავსებულია ჯვრები:

\* Чубинашвили Н.—Деревян. резные двери, ქართული ხელოვნება 3 ტაბ. 432.

ორი მთლიანია, ზედა და ქვედა გადაკრილია. ჯვრები შემოხაზულია „ლილების ლენტით“. ამავე ლენტით ჯვრები ერთმანეთზეა გადახლართული. მკლავების ცენტრში რომბია, ეს ბუდეებია. ამჟამად სამი ბუდე ცარიელია და გადარჩენილია ზედა ბუდე აჟურული ორნამენტით (ერთი მათგანი ამჟამად მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული). რომბების წვეროებიდან გამოდის ორ-ორი ღერო, რომელიც მიიმართება მკლავების წვეროებისაკენ, ღეროებიდან გამოდის „მტირალი ფოთლები“, რომლებიც მოჰყვებიან მკლავს სიგანეზე.

„მტირალი ფოთლების“ ანალოგია ქართული ხელოვნების ძეგლებზე მრავალია, როგორც ზემოთაც დავინახეთ (მაგ. ლაშეს, ჩუქულის, ჯახუნდერის, სავანეს და სხვა მოხარატებულ კარებზე. ასევე არქიტექტურაში: სავანეში, ბეღიაში, ხცისში, წულრულაშენში და სხვ.) ჯვრის ჰორიზონტალური მკლავები გადახლართულია წრეებთან. წრეები ზემოთ დასახელებული ლენტითაა შემოწერილი და შიგ ისეთივე ბუდეები უნდა ყოფილიყო, როგორც რომბებშია. სამწუხაროდ, სახე იმისა, თუ რით იყო ამოვსებული ეს წრეები, ჩვენთვის გაურკვეველია, რადგანაც მხოლოდ ცარიელი ბუდეებია დარჩენილი.

კარის ცენტრალურ ვერტიკალს აქეთ-იქით დაჰყვება სამ-სამი ზედადებული ფიცარი, რომელზედაც წმინდანთა გამოხატულებებია მოცემული. ყველა ფიცარი კარის გულზე შემოწერილია ორ-ორი ზოლით. დარჩენილი არე შევსებულია ისეთივე სტილიზებული ფოთლებით, როგორც ჩუქულისა და ჯახუნდერის მოხარატებულ კარებზე.

მარცხნივ და მარჯვნივ წრეს დაჰყვება ლილების ლენტი. ნაპირებზე დაჰყვება ასეთივე ლენტების სწორი ხაზი. ამ ლენტებს შორის დარჩენილი მანძილი შევსებულია „S“-ისებური ორნამენტით, რომელთა თავები მთავრდება სამყურათი. ასეთი ორნამენტი ქართული ხელოვნების ძეგლებზე სხვადასხვა ვარიანტითაა ცნობილი. ლენტის მიმართულება S-ისებურია. მხოლოდ აქ ყოველი კაუჭის ბოლოს გამობმულია სამყურა ფოთოლი. ფხუტრერის კარის ყველაზე ახლო ანალოგიას გვხვდებით ჩუქულის კარის ზედდადებულ აჟურულ ორნამენტზე.\*

\* Чубинашвили П.—Деревянные резные двери—ქართული ხელოვნება, ტ. III, ტაბ. 492.

ხშირად გვხვდება სამყურას მაგიერ ოთხყურა, მაგალითად, სავანეში,\* არაპირდაპირი ანალოგია კაცხში, მანგლისში, ხოვლესა და სალხინოს საკურთხეველის კანკელებზე.

რელიეფური გამოხატულებანი ცალკეა ზედდადებულ ფიცრებზე გამოკვეთილი. ეს გამოხატულებანი უფრო ღია ფერის მერქნისაგანაა გაკეთებული. ექვსივე წმინდანი ფეხზე მდგომია. მთელი ტანით, ანფასით, შარავანდდით მოსილი. ადამიანის აგებულების ცოდნით, მისი პროპორციების გადმოცემით, პლასტიურობით ფიგურები ბევრად უფრო უკეთაა მოცემული, ვიდრე ლაშეს კარზე. ფხუტრერში წმინდანების ტანსაცმლის ფაქტურა, ნაოჭები და დეტალები უკეთაა გადმოცემული.

ძეგლი ნ. ჩუბინაშვილის მიერ დათარიღებულია XI საუკუნის პირველი მეოთხედით. ფხუტრერის ხის მოხარატებული კარის კვეთილობა, ისევე როგორც ჩუქულის, კვეთილობის ტექნიკის სახეობების მიხედვით ნაირფეროვანია, აქ ვხედავთ როგორც რელიეფურ, ისე აჭურულ კვეთილობას და სხვ.

იგი დიდი ხელოვნებით შესრულებული ნაწარმოებია.

#### სვიფის კარი

სვიფის წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს მესტიის რაიონში, ფარის სასოფლო საბჭოში, ეკლესია პატარა ზომის დარბაზული ტიპის შენობაა, იგი შიგ და გარეთ მოხატულია, დასავლეთით აქვს მოხარატებული კარი.

კარი ერთფართიანია და ერთი ფიცრისაგანაა გაკეთებული. მას აქვს გეომეტრიული ორნამენტებით მორთული ჩარჩო. ერთხელ ეკლესიას ცეცხლი გასჩენია და მარჯვენა მხარეს კუთხეში კარი ოდნავ მომწვარია, ზოგან კარის ორნამენტი დაზიანებულია, განსაკუთრებით ქვემო ნაწილი. იგი მთლიანი პანოა, რომელზედაც ათი მრგვალი მედალიონია. ისინი ერთმანეთზეა გადაწული და ორ რიგადაა ჩამწყკრივებული ვერტიკალზე. მედალიონები მრგვალი ფორმისაა და შემოწერილია ღილების ლენტით. პირველი და მეორე მედალიონი ერთნაირია, წრეში ჩახატულია სამყურა, დარჩენილი სივრცეები შევსებულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით.

\* ბერიძე ვ.—სავანე. ქართული ხელოვნება, ტაბ. 1., გვ. 112, 115,

მეორე წყვილის პირველ მედალიონში (მარცხნივ) ტოლმკლავებიანი აყვავებული ჯვარია. მკლავებს შორის შუა მანძილზე სამყურას ეხედებით. ამის პირდაპირ ანალოგიას ვხვდებით წულრუღაშენში,\* სარკმლის საპირის ქვემოთ.

მეორე წყვილის მეორე მედალიონში წრეა. წრეში ოთხკუთხედიან, ამ ოთხკუთხედში წარწერაა. ოთხკუთხედსა და წრეს შორის მანძილს მცენარეული ორნამენტი ავსებს.

მესამე წყვილის მედალიონები ზუსტად ერთნაირია, აქ წრეში ჩახატულია სამ-სამი ფოთოლი, რომლებიც ისე არიან განლაგებული, რომ ერთი ფოთლის წვერი მეორის ზურგს ხვდება. ასეთი მისწრაფება, შეწყვიტოს ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მიმდინარეობა ჩაკეტილი რკალებით, მეტად გავრცელებულია XI საუკუნის პირველ ნახევარში, მაგალითად, სამთავროში, მანგლისში, სვეტიცხოველში, რუისში,\*\* თუმც გამოძახილს უფრო გვიან წულრუღაშენშიც ვპოულობთ. ორნამენტი მეტად დინამიურ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მეოთხე წყვილის მარცხენა მედალიონში ტოლმკლავებიანი ჯვარია ჩასმული. მკლავებს შორის შუა ადგილას წრიდან ფოთლის მსგავსი ორნამენტული სახეები გამოდის.

მეოთხე წყვილის მარჯვენა მედალიონში სწორკუთხედიან ჩახატული და თავისუფალი არე როგორც სწორკუთხედში, ისე წრესა და ოთხკუთხედს შორის, სტილიზებული ფოთლებით არის შევსებული. სწორკუთხედის შუა სახე მოგვაგონებს ლურჯი მონასტრის ფანჯრის მორთულობას.\*\*\* მეხუთე წყვილის პირველ მედალიონში ჩახატულია ოთხყურა სტილიზებული ორნამენტი. ამ მედალიონებზედაც იგივე ითქმის, რაც მესამე წყვილის მედალიონზე. აქაც ოსტატი მისწრაფის შესწყვიტოს ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მიმდინარეობა ჩაკეტილი რკალებით. მეათე მედალიონში წრეში კვლავ ოთხყურაა ჩახატული, ოთხი ფოთლით.

მედალიონები ვერტიკალზე და ჰორიზონტალზე ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვული ღილების ლენტით. მედალიონებს შორის მან-

\* ხაქარაია ნ.—წულრუღაშენი. ტაბ. 21. ერმაკოვის ფოტო № 15161.

\*\* Шмерлинг Р.—Самтавро. გვ. 58, ნახ. 9.

\*\*\* ბერიძე ვ.—ლურჯი მონასტერი, ქართული ხელოვნება, 2, გვ. 105,

ძილი შევსებულია სტილიზებული ფოთლოვანი ორნამენტით. აქ ოთხ-ოთხი ფოთოლი ერთმანეთს ისე უკავშირდება, რომ შუაში ჰქმნიან რომბს. ამგვარ ფოთლებს ეხვედებით ჯახუნდერის ხის მონარატებულ კარზე, სამთავროში,\* ნიკორწმინდაში,\*\* შიომღვიმის კანკელზე.\*\*\* სვეტიცხოველში და სხვაგან.

მედალიონის გარეთა გვერდების ცარიელ არეს ავსებენ სტილიზებული მცენარეული სახეები. როგორც აღნიშნული გვექონდა, მეოთხე მედალიონში წარწერაა, რომელიც გამოქვეყნებული იყო რამდენჯერმე. ე. თაყაიშვილმა თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში ლეჩხუმსა და სვანეთში 1910 წ.“ გამოაქვეყნა წარწერა „წ გი მოკეყე წე ღთსა სულის გაბისსო სა ანუ წმინდაო გიორგი მეოხმ წინაშე ღვთისა სულისა გაბისსოჲსა ამინ“.\*\*\*\* ტექსტში ნახსენები სახელი გაბისოი—ქტიტორის, ან ოსტატის სახელი უნდა იყოს, უფრო შესაძლებელია ამ უკანასკნელის. კარის მიწარი შესრულებულია დაბალი რელიეფით და ამ მიწარზე რელიეფურად გამოიყოფა ერთმანეთზე გადაბმული 10 მედალიონი.

ნ. ჩუბინაშვილის მიერ ეს კარიც დათარიღებულია XI საუკუნის პირველი მეოთხედით.

#### აღნიშნული

სვანეთის კართა შესანიშნავ კოლექციას ახლახან შეემატა ახალი ორიგინალური ძეგლი სოფ. აციდან (მესტიის რაიონი)• ძეგლი წარმოადგენს სვანური ტიპის ჩვეულებრივ დარბაზულ ეკლესიას. ეს ჩუქურთმიანი კარი აღმოჩენილ იქნა ნ. ჯომიდავას მიერ 1952 წელს, და ჟურნალ „დროშაში“ მანვე გამოაქვეყნა ძეგლის რეპროდუქცია და მოკლე ცნობები. კარი ამჟამად მესტიის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშია.

\* Шмерлинг Р.—Самтавро. გვ. 65, № 17.

\*\* ერმაკოვის ფოტო № 18946 და № 18953.

\*\*\* Шмерлинг Р.—Алтарные преграды. ქართული ხელოვნება. ტ. III, ტაბ. 65.

\*\*\*\* ეს წარწერა პირველად გამოაქვეყნა დიმიტრი ბაქრაძემ 1861 წ. (Сванетия). მას მოყვანილი აქვს ასომთავრული წარწერა. „Святой Георгий будь заслупником перед богом за душу Габисоя. „ამ შრომით ისარგებლა უვაროვამ თავის შრომაში და გამოაქვეყნა წარწერა იმ განსხვავებით, რომ ოსტატის სახელი შეცდომით მოიყვანა გაბისოა გვ. 41, 65, 123.

კარი ერთფრთიანია, მისი მერქანი, გადმოცემით, კაკლისა უნდა იყოს. კარი კარკასული ტიპისაა. კარკასი შედგება სამი ვერტიკალური, ხუთი ჰორიზონტალური ზოლისაგან და რვა გულისაგან. მოხარატებულია სწორედ კარკასის ზედაპირი, რაც ჯერჯერობით აღმოჩენილი ხის მოხარატებული კარების კოლექციაში პირველი შემთხვევაა. კარის გელებზე კი მხატვრობისა და წარწერების ნაკვალევს-ღა ვხედავთ. კარის კარკასის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებს დაჰყვება გრეხილის ლენტის. ვერტიკალურ გარეთა ხაზების გრეხილ ლენტს აქეთ-იქით მისდევს ბრტყელი ლილების ზოლები, დანარჩენი გრეხილის ლენტს შუა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ზოლებზე დაჰყვებათ სწორი ხაზები (ხან ორი, ხან სამი). ზოლებს ხშირად აკლიათ სისწორე; არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოდის ორი ხაზი და უცებ ჩნდება მესამე ან პირიქით.

ძეგლს აქა-იქ დაჰყვება მრგვალი „ლილები“ (მაგ. პირველ ჰორიზონტალურ ხაზზე ხუთი ღილი, ორ-ორი პირველ და მეორე გულების ნაპირებში და ა. შ.). სიმეტრია და სისწორე ყველგან დაცული არ არის. მაგალითად, მესამე და მეოთხე გულების გამყოფ ვერტიკალურ ხაზზე ერთის მაგიერ ორი ღილია, ორ-ორი ასეთივე მესამე ჰორიზონტალურ ხაზზე და სხვ. სულ 28 ღილია. როგორც აღნიშნული გვქონდა, კარის გულებზე მხატვრობა ყოფილა, რომლისგანაც მცირე რამ შემოგვრჩა. მაგალითად, მესამე და მეოთხე გულზე დღესაც ეტყობა თეთრი საღებავებით შემოხაზული შარავანდედები.

„რვავე ოთხკუთხედი წარწერიანი ყოფილა, რომელთაგან კარგადაა შენახული წარწერა მხოლოდ ზედა ორ ოთხკუთხედში (განსაკუთრებით მარჯვენა მხარის, რომელსაც შედარებით კარგად იცავდა ეკლესიის სახურავი). წარწერა ექვსტრიქონიანია და შესრულებულია მრგლოვანი ხუცურიით. წარწერა მე-10 საუკუნის შემდეგისა უნდა იყოს, რასაც მოწმობს ზოგ ასოთა, მაგალითად, „ვ“-სა და „ქ“-ს პალეოგრაფიული მოხაზულობა.

„ამგვარად, ამ წარწერით და ასევე ხელოვნების სხვა მონაცემებით ძეგლი თარიღდება XI საუკუნით.“\*\*

\* დასახელებული წერილი.

\*\* წარწერა ამოიკითხა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეც. მუშაკმა ხაყოშიამ.

ეს წარწერა წაკითხულია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სარა ბარნაველის მიერ შემდეგნაირად: „სულსა იოვანე (ს)ა მოლაზონისა შეუნდონ“.

წარწერები ყოფილა კარის გულების მეოთე მხარეზედაც. თუ ეს რიცხვების მაჩვენებელი ასოებია (რაც ქართულისათვის დამახასიათებელია), მაშინ ასოები გარკვეული თანმიმდევრობით უნდა მიდიოდეს. აქ კი ამას ვერ ვამჩნევთ. ასეთივე შემთხვევა გვქონდა ჩუქულის კარზედაც. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც ოსტატმა, რადგანაც წერა-კითხვა არ იცოდა, თავისი პირობითი ნიშნებით აღნიშნა კარის გულთა თანმიმდევრობა. როგორც აღნიშნული გვქონდა, აცის ხის მოხარატებული კარი ორიგინალურადაა შესრულებული და მისი მსგავსი ჯერჯერობით ქართული ხელოვნების ისტორიაში არ შეგვხვედრია.

#### მაცხვარიშის კარები

მაცხვარიშის მთავარანგელოზის ეკლესია მდებარეობს მესტიის რაიონში (ლატალის სასოფლო საბჭოში). იგი წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას მინაშენით. შესავალი ეკლესიას სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარები მოხარატებულია. საერთოდ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ერთსადაიმთხვე ეკლესიას ორი მოხარატებული კარი აქვს.

ჩრდილოეთ ფასადზე ამჟამად უბრალო ფიცრის კარებია.

ლიტერატურაში ამ ძეგლს ზოგი „Ифахи“-ს უწოდებს (ბაქრაძე), ზოგი „Ипах“-ს (დ. გორდევევი), სტოიანოვი და გაბრიელ ეპისკოპოსი—მაცხვარიშს. ეკლესიის მოხარატებულ კარს არც ერთი არ ახსენებს. მეორე კარიც რომ მოხარატებული ყოფილა, ეს პირველად ლიტერატურაში თ. ყაუხჩიშვილის მიერ იქნა აღნიშნული.\*

კარი ორივე კარკასული ტიპისაა. კარკასი ორივე კარზე ხის უხეშ ჩარჩოშია ჩასმული, რომლის ორნამენტი ძალიან მოგვაგონებს

\* ყაუხჩიშვილი თ.—ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ. 1951 წ., 88. 36-37.

კულაშის (მე-19 საუკ.) ორნამენტებს. ჩრდილოეთის კარი შედგება სამი ვერტიკალური, ოთხი ჰორიზონტალური ზოლისაგან და ექვსი გულისაგან. სამხრეთის კი ხუთი ჰორიზონტალური, სამი ვერტიკალური და რვა გულისაგან. მოჩუქურთმებულია ორივე კარზე როგორც კარკასი, ისე კარის გულები.

სამხრეთის კარის პირველ გულზე კაცის გამონახატულებაა. ყურადღებას იპყრობს სხეულთან შედარებით ძალიან დიდი თავი. კარგად ემჩნევა ცხვირი, თვალები, უღვაშები. ერთ ხელში ოთხკუთხედი საგანი უჭირავს. II გულზე ძალის მაგვარი ცხოველია; III გულზე ღვთისმშობლის გამონახატულებაა ყრმით. პროპორციები აქაც საშინლად დარღვეულია. ქრისტეს ცალ ხელში სახარება უჭირავს. ღვთისმშობლის აქეთ-იქით წარწერებია. IV გულზე—არწივია. V გულზე—წრეში ფრინველია პროფილში. VI გულზე—გამონახატულება შარავანდედით. მას ხელში ჩონგურის მსგავსი საკრავი უჭირავს. VII და VIII გულებზე ერთ მხარეს ორი ცხოველის, ხოლო მეორე მხარეს ორი ფრინველის გამონახატულებებია.

„სამხრეთის კარებზე არის მეტად თავისებური ქართული ნუსხური წარწერა (№ 72), იქვე სქოლიოში „ოო შეიწყალე“ (მემდეგ ვერ ვკითხულობ).“\*

მეორე კარზე ვხვდებით სხვადასხვა პრიმიტიულ, მარტივი ჩუქურთმების სახეებს, რომელიც ძალიან უგემოვნებოდაა შესრულებული, არც შესრულების ტექნიკა გამოირჩევა თავისი ოსტატობითა და ხელოვნებით. იგი უფრო ხელოსნურ ნაწარმოებს მოგვაგონებს, ვიდრე ხელოვნების ნიმუშს.

მაცხვარიშის ხის მოხარატებული კარები სვანურ მოხარატებულ კართა შორის განმარტოებით დგას.

### ოცინდალეს კარი

ეს ძეგლი ჩხოროწყუს რაიონიდანაა. იგი აღმოჩენილ იქნა 1919 წ. კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის

\* ყაუხჩიშვილი თ.—ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951 წ.

(თბილისის) ექსპედიციის წევრების დ. გორდევების და პროფ. შ. ამირანაშვილის მიერ. კარი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში იმყოფება. ძეგლი პირველად გამოქვეყნებული იყო დ. გორდევების მიერ 1927 წ. საქართველოს მუზეუმის მოამბის მესამე ტომში, ამის შემდეგ კი ნ. ჩუბინაშვილის მიერ, რომელმაც უფრო დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ძეგლს და დაათარიღა კიდევ. ორივე მკვლევარი ამ ძეგლს სვანურ კართა ჯგუფს აკუთვნებს. ჩვენამდე კარის მარცხენა ფრთამ მოაღწია. იგი ერთი მთლიანი ფიცრისაგან შედგება. მარცხნივ ვერტიკალზე, ზემოთ და ქვემოთ ჰორიზონტალზე დაჰყვება ღილების ფართო ლენტი. ეს ლენტი ზიგზაგურად დაჰყვება კარის გვერდებს და განსაზღვრულ მანძილზე ინასკვება. თავისუფალი ადგილები შევსებულია სტილიზებული ფოთლებით. ამის შემდეგ კარს სამი მხრიდან დაჰყვება დაწნული ლენტი. კარს ოთხივე მხარეს დაჰყვება ღილების ფართო ლენტი, მარცხენა მხარეს ვერტიკალზე (კარის ნაპირზე) ეს ზოლი მეორდება. დარჩენილ არეზე, რომელიც დაბალი რელიეფითაა ამოკვეთილი და მიწარის შთაბეჭდილებას ტოვებს, რვა მედალიონია. მედალიონები იგივე ლენტისაგანაა შემოხაზული. მედალიონები, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ ვერტიკალზე დაკავშირებული არიან ერთმანეთთან იმავე ლენტის საშუალებით. მედალიონების შუაში თითო ფოთოლია, რომელიც თითქმის ორადაა გაყოფილი ვერტიკალური ხაზის საშუალებით. ეს ფოთლები ლაშვს კარის მცენარულ ორნამენტის პირდაპირ ანალოგიას წარმოადგენს.

ავტორი აქცენტს უკეთებს ამ ფოთლებისა და გარეგანი არეების სტილიზებულ ფოთლებს. ამისათვის გამოყოფს მათ საერთო ფონიდან უფრო მაღალი რელიეფით. ეს ფოთლები შესრულებულია რელიეფური კვეთილობით, დანარჩენი კი დაბალი, ღრმული კვეთილობით.

ნ. ჩუბინაშვილი თავის შრომებში ამ ძეგლს XI საუკ. პირველი მეოთხედით ათარიღებს.

#### ქორეთის კარი

ქორეთის ეკლესია მდებარეობს ყვირილის ხეობაში, საჩხერიდან სამიოდე კოლომეტრის მანძილზე. იგი XI საუკუნითაა დათარიღებული.

ქორეთის კარი ამჟამად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაში იმყოფება.

კარი ერთფრთიანია. ფიზიოლოგიური ინსტიტუტის ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგის ლ. ჯაფარიძის მიერ ჩატარებულმა მიკროსკოპიულმა ანალიზმა გამოარკვია, რომ იგი კაკლის (*Guplars reqia*) მერქნისაა და არა ვაზის. ძველი არა მარტო შუაზეა გახეთქილი, არამედ სხვა ბზარებიც აქვს გაჩენილი. კარის მთელი არე გაყოფილია ოთხ ნაწილად დაწნული ლენტით, რითაც არატოლმკლავიან ჯვრის ფორმას ვიღებთ. ასეთივე ლენტი კარებს დაჰყვება მარცხენა ნაპირზედაც.

ამ წნულის ლენტებს შორის არის ოთხი სწორკუთხედი. ზემო სწორკუთხედებში სიმეტრიულად მოცემულია ოთხი წრე — მედალიონი, რომელთა შორის არის ერთმანეთის პირდაპირ პროფილში ფასკუნჯების გამოხატულება. სწორკუთხედების ზემოთა მედალიონები ერთნაირი არ არის. მარცხენა მედალიონის ცენტრში რომბია.

მეორე მედალიონში ტოლმკლავიანი დაწნული ჯვარია. წრეში ტოლმკლავიანი ჯვრის გამოხატულება ხშირად გვხვდება სხვადასხვა ვარიაციებით ქართული ხელოვნების ძეგლებზე. უფრო გართულებული მოტივით ამას ვხედავთ სვიფის მეორე წყვილის პირველ მედალიონში, წულრულაშენის სარკმლის საპირეზე და სხვ.

ამ მედალიონების ქვემოთ სიმეტრიულად მოცემულია ორი ფასკუნჯის გამოხატულება. ფასკუნჯები ერთმანეთს უყურებენ და ცენტრისაკენ არიან მიმართული. მათ თავი ცხენისა აქვთ, ტანი ფრინველის, ფრთებიანია. „...Для первой половины XI века, особенно в Западной Грузии, характерны пышные, очень сочные растительные орнаментальные мотивы, в которые вводятся изображение фантастических животных, потерявших самостоятельное художественное значение и превратившиеся в один из элементов общего декора здания“.\* არაპირდაპირი ანალოგია შეიძლება მოვნახოთ სამთავისში (XI საუკ.) ნიკორწმინდის რელიეფზე (XI საუკ.),\*\* მიქელ მოდრეკელის ხელნაწერში (X საუკ.) და სხვ.

\* Амиранашвили Ш. Я.—История грузинского искусства, т. 1, м. 1950 г., стр. 174.

\*\* აღადაშვილი ნ.—დასახელებული შრომა, ტაბ. 25, 26.

ფასკუნჯების გამოხატულების ქვემოთ ორივე მხარეს ისევ ორი მრგვალი მედალიონია ექვსქიმიანი ვარსკვლავისებური სახით.

ქვემო სწორკუთხედების არე დაფარულია პატარ-პატარა წრეებით, რომლებისაგან ვლტებულობთ ე. წ. „ხუთულებს“, რომლის ანალოგიას ვპოულობთ წულრულაშენის სარკმლის საპირეზე \*

ქორეთის კარი შუასაუკუნეების ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის.

### საგანის კარი

საგანის ეკლესია მდებარეობს ყვირილას ხეობაში, წარმოადგენს XI საუკუნის დარბაზულ ნაგებობას.

ეკლესიას ორი შესავალი ჰქონია, ერთი დასავლეთით და მეორე სამხრეთით. ერთ-ერთ მათგანზე ყოფილა ხის მოხარატებული კარი. პირველად ძეგლი გამოსცა გ. წერეთელმა თავის მოგზაურობაში, რის შემდეგ იგი რამდენჯერმე იქნა გამოქვეყნებული (ბარონ დე ბაის, სევეროვის, ბერიძის და ჩუბინაშვილის მიერ). ამჟამად საგანის კარი საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ექსპოზიციაში იმყოფება. ძეგლი ორფრთიანია და ამგვარად იყო ხოლმე ყოველთვის გამოქვეყნებული, მაგრამ ხელოვნების მუზეუმში ამჟამად, ერთფრთას აწერია „საგანე“ და მეორეს „კაცხი“. დ. გორდევების გადმოცემით, მან მხოლოდ ამ ექსპოზიციის დროს წაიკითხა კარის მეორე მხარეს (მარჯვენა ფრთაზე) წარწერა „კაცხი“. ჩვენ ეს მეტად საეჭვოდ კი არა, შეუძლებლადაც მიგვაჩნია. კაცხის ტაძარზე არასდროს ჩუქურთმიანი კარი ცნობილი არ ყოფილა, არც ლიტერატურაში და არც გადმოცემით. მანამდე, სანამ ამ საკითხზე რაიმე დასკვნას გავაკეთებდეთ, საჭიროა გავეცნოთ არსებულ ლიტერატურას, გავუკეთოთ ძეგლს ანალიზი და მხოლოდ შემდეგ გადავწყვიტოთ საკითხი.

გ. წერეთელი თავის „Археологические экскурсии по Квирильскому ущелью“ წერს: „Главный вход церкви с Южной стороны. Церковная дверь из негноя с тонкою резьбой из грузинского плетения.“

ტაბულაზე იქვე მოცემულია საგანის ეკლესიის ორი შესავლელი: ერთი სამხრეთის, რომელზედაც ჩვეულებრივი ხის კარია და მეორე—დასავლეთის, რომელზედაც მოჩანს ხის ჩუქურთმები-

\* ზაქარაია ნ.—ბოლნისები და წულრულაშენი ტაბ. XXII.

ნი კარი. ასევე დასავლეთის შესასვლელზე ვხედავთ ჩუქურთმიან კარს. ჟურნალ „ქვალში“ (1898 წ. № 27) გ. წ. „არხეოლოგიური მოგზაურობიდან“ მოთავსებულ რეპროდუქციაზე, ერმაკოვის ფოტოზედაც,\* ბარონ დე ბაისთან, აკ. ექ. თაყაიშვილთან, რომელმაც 1910 წ. იმოგზაურა ყვირილის ხეობაში. ეს ძეგლი ჩამოტანილი იქნა თბილისში პროფ. შ. ამირანაშვილის მიერ ყოფილ თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმში.

ეს კარი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ორფრთიანია. თითო ფრთა ერთი მთლიანი ფიცრისაგან შედგება. მარჯვენა ფრთას ჯერ კიდევ ადგილზე აღარ ჰქონდა თავისი ცალი მხარე. მოხარატებული კარი, რომელიც გადმოცემის თანახმად, ვახისაგანაა გაკეთებული, სინამდვილეში ბოტანიკური ბაღის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში ჩხუბიანაშვილისა და ჯაფარიძის მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად ნიგვზის ხის მერქნის აღმოჩნდა.

კარის ორნამენტის კომპოზიცია მეტად თავისებურია. იგი არ არის კომპოზიციურად შეკრული, თითქოს სხვადასხვა შემთხვევითი მოტივებია შეკრებილი და უწყესრიგოდ გადატანილი. ასეთ შემთხვევას კი იწვიათად ვხედავთ XI საუკ. ქართული მოხარატებული კარების კოლექციაში. მარჯვენა ფრთაზე, ზემოთ მოცემულია ოთხყურას მოტივი, რომელშიაც ჩახატულია კვადრატი. კომპოზიციის ცენტრში კი დაწნული ჯვარია. ეს მოტივი მეორდება ორჯერ. ამ მოტივის ყველაზე ახლო ანალოგიას ვხედავთ ამავე ძეგლის სამხრეთ შესასვლელის შიგა საპირფეზე, ლაშქის კარის კარკასზე, ნიკორწმინდისა და ახტალის კვარცხლბეკებზე, მერიას საკურთხეველის კანკელზე და სხვ. შემდეგ, კარის ვერტიკალზე მოდის სამი სხვადასხვა მედალიონი, რომელთაგან ერთ-ერთის არაპირდაპირ ანალოგიას ვხედავთ სავანის ორნამენტებში.\*\* როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ამ ფრთას აკლია ცალი მხარე, საერთო მარცხენა ფრთასთან არა აქვს. მარცხენა ფრთის ზემოთა ნაწილში მოცემულია აყვავებული ჯვარი, რომლის უახლოესი ანალოგია (როგორც ტერიტორიულად, ისე კომპოზიციურად) არის ამავე ძეგლის სამხრეთ შესასვლელის ტიმპანში მოთავსებული აყვავებული ჯვარი. ეს უკანასკნელი წნულისაგან გაკეთებული წრეშია მოთავ-

\* იხ. ერმაკოვის ფოტო № 17960.

\*\* ბერიძე ვ.—დასახელებული შრომა, გვ. 84.

სტეპლი. ჯვრის ოთხივე მკლავის ბოლოებიდან ამოდის ფოთლები, რომლებიც „მტირალი ფოთლების“ სახით ეშვებიან ჯვრის მკლავების ვერტიკალურად, ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილისაკენ და ავსებენ მკლავებს შორის მანძილს. აყვავებული ჯვრის ანალოგიას ვხვდებით ლაშვს კარზე და სხვა ძეგლებზედაც. აყვავებული ჯვრის შემდეგ (ქვემოთ) მოდის მედალიონი ვარდულათი, შემდეგ სტილიზებული ფოთლები ერთმანეთის თავშეკეცვით. მისი არაპირდაპირი ანალოგია შეიძლება თვით სავანის ჩუქურთმებში (კარიბჭის და კანკელის ორნამენტებშიც) ვიპოვოთ. კარებზე ეს მოტივი უფრო გამარტივებულია.

ოთხხუროსა მოტივსა და აყვავებული ჯვრის კომპოზიციების ასეთი სიახლოვე, ამავე ძეგლის სამხრეთი შესასვლელი საპირესა და მის ტიმპანთან გვაფიქრებინებს, რომ ხის ჩუქურთმიანი კარის ორივე ფრთა სავანის კარისაა და იგი ეკიდა არა დასავლეთ, არამედ სამხრეთ შესასვლელზე (როგორც ეს აქვს აღნიშნული გ. წერეთელს). ამასვე გვიმოწმებს სამხ. შესასვლელის ტიმპანის ქვემოთ მოთავსებული წარწერა, რომელიც ასე წაიკითხეს აკ. ექ. თაყაიშვილმა და ვახტანგ ბერიძემ: „სახელი ღრმთისა და შეწვენითა სავანისა მთავარმოწამისა შექმნეს კარნი ესე ქავთარაძის ძეთ ივანეს აღბუღას მიქელს და მისისა (sic) მეუღლისა თამარისა შეუღდეს ღმერთმან.“

ეს წარწერა არსებითად განსხვავდება სავანის სააღმშენებლო წარწერებიდან. წარწერის ანალიზის საფუძველზე პროფ. ბერიძე წარწერას ათარიღებს XV-XVI საუკუნით.

ზემოხსენებული წარწერა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეხება არა მარტო კარის შესასვლელის გადაკეთებას, არამედ თვით კარის შექმნასაც. მოხარატებული კარი უდაოდ სამხრეთის შესასვლელზე ყოფილა (სადაც წარწერაცაა) და მხოლოდ შემდეგ გადაუტანიათ დასავლეთის შესასვლელზე. ოსტატმა მექანიკურად შეკრიბა სხვადასხვა მოტივები, ხაზი კი გაუსვა და ზემო ნაწილში მოათავსა შესასვლელის საპირის და ტიმპანის მოტივი. ხის მოხარატებულ კარს ისევე, როგორც გვიან ჩამატებულ შესასვლელის საპირეების ჩუქურთმებს აკლია ის ოსტატობა, გემოვნება და ზომიერებაც გრძნობა, რომელიც ახასიათებს სავანის ქვაზე მკვეთელ ოსტატებს.

აქ გვაქვს იგივე შემთხვევა, რაც ლაშვს კარზე. ხეზე კვეთილო-

ბისათვის აქაც გამოყენებულია ქვის კვეთილობიდან აღებული მონტივები. კვეთილობა შესრულებულია არა ღრმა რელიეფით, საკმაოდ უხეზად და დაუდევრად.

### მღვიმევისა და ცაგმარის კარავი

მღვიმევის მონასტერი მდებარეობს ქალ. ქიათურიდან ორი-ოდე კილომეტრის მანძილზე. ძველი წარმოდგენს ორნავეიან ბაზილიკას. იგი დათარიღებულია XIII საუკუნით.\* მონასტრის დასავლეთ შესასვლელს ჰქონდა ხის მოხარატებული კარი თავის ჩარჩოთი. ჩარჩო ამჟამად ადგილზეა. კარი საქართველოს მუზეუმში ჩამოტანილ იქნა 1926 წელს პროფ. შ. ამირანაშვილისა და დ. გორდევის მიერ. ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში იმყოფება. კარის შესახებ ზოგადი შენიშვნები და მისი წარწერები, მხოლოდ არა მთლიანად გამოაქვეყნა მარი ბროსემ (იხ. დასახელებული შრომა). მისივე რამდენიმე სტრიქონი გაიმეორა დ. ბაქრაძემ, ხოლო უფრო ვრცელი აღწერილობა წარწერთურთ და ძეგლის სურათით გამოაქვეყნა გ. წერეთელმა რუსულ ენაზე. იგივე გამოაქვეყნა მან შემოკლებული რედაქციით ჟურნ. „კვალში“ 1895 წ., მხოლოდ 1927 წ. დ. გორდევემა გამოსცა ძეგლი და სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მას.

მღვიმევის კარი ორფრთიანია. თითოეული ფრთა მთლიანი ფიცირისაგან შედგება, ზემოდან ამ ფიცრებს აკრავს კარკასი, რომელიც შედგება 5 ვერტიკალური და 3 ჰორიზონტალური ზოლისაგან. შუა ზოლები როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური, — წარწერებიანია. კარკასის ორნამენტიანი ზოლები მორთულია გრეხილითა და სხვა სახეებით. კარის გულები კი მთლიანად დაფარულია ორნამენტული ლენტებით. კარი დაზიანებულია, მარი ბროსეს თავის ნაშრომში მოჰყავდა ლეგენდა, თითქოს კარი გაკეთებულია მთლიანი ვაზის ფიცირისაგანო, მაგრამ გ. წერეთელი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ამ კარის კარკასი იყო ვაზის, „ხოლო რაც შეეხება კარის გულებს, ეს ძეგლის ხისა უნდა იყოს“. კარის ყოველ გულს აქვს თავისი საკუთარი ჩარჩო, ბრტყელი დილების ლენტისაგან და ზოლებისაგან. ამ ჩარჩოების შიგ მოცემულია მცენა-

\* გომელაური ი.—XIII საუკ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მღვიმევი (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1951 წ.



რეული ორნამენტი. აღებულია ოთხყურა, რომელშიაც ჩახატულმა ტომკლავიანი ჯვარი. დარჩენილი სივრცე შევსებულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით. ეს ერთი და იგივე კომპოზიცია მეორდება გულების მთელ სიმაღლეზე, თითოეული მათგანი მეორეზეა გადაჯაჭვული. ასე მეორდება ეს სახე, გარდა ერთი გამონაკლისისა: კარის გულების ქვედა კომპოზიციაში ოსტატი აკეთებს პატარა განსხვავებას; კარის გულები ერთმანეთისაგან პროპორციებით დაშემადგენელი ნაწილების (ოთხყურას) რაოდენობით განსხვავდებიან.

მღვიმევის კარის არა თუ ანალოგიას, არამედ მის გამეორებას წარმოადგენს ცაგერის კარი,\* რომელიც ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია.

კარი ორფრთიანია. დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილი ხის მოხარატებულ კართა შორის ცაგერის კარი ყველაზე უფრო დიდი ზომისაა. კარი კარკასული ტიპისაა. თითო ფრთა შედგება ორი ვერტიკალური და ოთხი ჰორიზონტალური ზოლისაგან. კარკასის ზოლები მორთული არაა, კარის გულები კი მოხარატებულია აცის კარის საპირისპიროდ, სადაც კარის ყოველი გული ისეთივე ლენტითაა მოჩარჩობული, როგორც მღვიმევის მოხარატებული კარის გულებზე, რომლის შიგნით ოთხყურაა ჯვრით ცენტრში. მხოლოდ აქ ეს უკანასკნელი ნაკლებ ხაზგასმულია. დარჩენილი სივრცე (როგორც ჯვრებს, ისე ოთხყურებს შორის) შევსებულია სტილიზებული ფოთლებით. მღვიმევის კართან შედარებით მკლავებს შორის მანძილი უფრო მცირეა. ცაგერის ოთხყურებიც ერთმანეთზე გადაჯაჭვული არიან. აქაც ისევე, როგორც მღვიმევი კომპოზიციების სიმეტრია დაცული არაა, ოთხყურას ვარიაციაც კი, რომელიც მღვიმევი გვექონდა, მხოლოდ სხვა ადგილას მეორდება.

ამ ჯვრის მკლავებს შორის მანძილი მთლიანი ფოთლების სახითაა შევსებული, მღვიმევი კი აჭურულია. მიუხედავად იმისა, რომ ორნამენტი მღვიმევი უფრო აჭურულია, მღვიმევის კარი უფრო გონუმენტურია, ცაგერის — მოხდენილი და მსუბუქი.

\* აკ. ექ. თაყაიშვილი თავის შრომაში: „არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმსა და სვანეთში“ 1910 წ. გვ. 48, აღწერს ცაგერის საკათედრო ტაძარს და დასძენს: „ერთადერთი საუკეთესო სიძველეთა ნაშთი შერჩენია სამხრეთის კარს რომლის ჩუქურთმებანი ჩარჩო ერთობ საუცხოო ნახელავია“. ამ ცნობის გარდა ლიტერატურაში ცაგერის კარზე ვერაფერი აღმოვაჩინეთ. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ წინა ნაშრომში ცაგერის კარს საქ. მუზეუმი და უმართებულო ცნობის გაცემის გამო, ნინო წმინდის კარი ვუწოდეთ.

როსხურაში ჯვრის სხვადასხვა ვარიაციებით მოცემა ხშირია ქართული ხელოვნების ძეგლებში. ამის მრავალფეროვან სახეცვლილებებს ვხვდებით არა მარტო მღვიმევის ფასადის ჩუქურთმებში,\* არამედ უფრო ადრეც, როგორც მაგალითად, სავანეში,\*\* სადაც (კარიბჭის ორნამენტში) ჯვრის მკლავები სტილიზებული ფოთლებითაა მოწერილი, საკმაოდ რთულად კაცხში\*\*\* სამთავროში\*\*\*\* უფრო რთული სახით ლაშეში სავანის კვარცხლბეკზე, ახტალაში და ნიკორწმინდაში, მერიას საკურთხეველის კანკელზე და სხვა.

წარწერაში ჩამოთვლილი პირები სხვა წყაროებიდან უცნობია, გარდა კახაბერისა (იხ. წერეთლის და კაკაბაძის დასახელებული შრომები). კახაბერ ჩიჯავაძეს გორდევეი სთვლის ბაგრატ მეფის დის ოლიმპიადის ქმრად (მე XIV საუკ. II ნახევარში მეფობდა) და გიორგი მეშვიდის დად (მოკლულია 1405 წ.). კახაბერი XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. შესაძლოა, ეს კახაბერი იყოს ულუმბიის ქმრის კახაბერის შვილიშვილი, რომელსაც შეიძლება ბაბუის სახელი რქმეოდა. ჩიჯავაძეები ცხოვრობდნენ ქვემო იმერეთში და არა ზემოში. ძეგლის ზუსტი დათარიღება ჯერჯერობით არ შეიძლება, სანამ ეს ისტორიული პირები ცნობილი არაა. კაკაბაძის აზრით, მღვიმევის კარი XV საუკუნეზე გვიანი არ შეიძლება იყოს, რასაც ადასტურებს ასოების მოყვანილობაც. ამას არ ეწინააღმდეგება კვეთილობის სტილი. შესრულების ტექნიკა ორივე კარების ერთი და იგივეა, მიწარი დადაბლებულია, ჩაღრმავებული. ზედაპირი დამუშავებულია არაღრმა ღრმულებით, რაც გვაძლევს დაბალ რელიეფს.

\* \*

კულტურის აღორძინების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქართულმა მონასტრებმა, რომლებიც მრავლად არსებობდა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთაც. ამ დროს დიდად იყო გაშლილი სამონასტრო მოძრაობა. მორწმუნენი

\* ი. გომელაურის დისერტაციის ალბომი, ტაბ. 13.

\*\* ბერიძე ვ.—სავანე. გვ. 109, სურ. 17|8 და გვ. 120, სურ. 27-დ.

\*\*\* კაცხი ჩრდილოეთის კედლის ფანჯრის საპირე ერმაკოვის ფოტო

№ 17999.

\*\*\*\* Шерлинг Р.—Самтавро. გვ. 65, ნახ. 11.

„თავდაპირველად უარს აცხადებდნენ საერო შრომის გამოყენებაზე სამონასტრო საქმეებში და ამიტომ თვით სწავლობდნენ მათი ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელ ხელობას“.\*

ამის დამადასტურებელ ფაქტებს ვპოულობთ, როგორც ლიტერატურულ წყაროებში (ბასილ ზარზმელი გადმოგვცემს, სერაპიონი ხურობის კარგი ოსტატი იყო, ასევე ილარიონ ქართველი ბოლოკბასილი და სხვ.), ასევე მატერიალური კულტურის ძეგლებზედაც. მაგალითად, მიქელ ხუცესი გალატოზი იყო, ივანე დიაკონი ოქრომჭედელი და ჩვენის აზრით, აცის ხის მოხარატებული კარის წარწერა „სულსა იოვანე მოლაზონისა შეუნდონ“ უნდა ეკუთვნოდეს კარის მოხარატებელ მოლაზონს. ძველი შუამთის კარზე ვკითხულობთ: „...შეიწყალენ მოძღვარი ნიკოლოზ და ხურონი მიქელი და დემეტრე...“ და სხვ.

გავიდა დრო, კიდევ უფრო გაიზარდა სამონასტრო მოძრაობა, მასთან ერთად გაიზარდა და გართულდა სამონასტრო მეურნეობა. აღარ არის საკმარისი მონასტრის საკუთარი კაღრები ყველა დარგში. იძულებული იყვნენ მოეწვიათ ძმობის გარეშე მყოფი „კელოანი“ ოსტატები.

„ქართული მონასტერი არა მარტო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცოდნის შექმნის ცენტრი იყო, არამედ სათანადო ხელობის, ხელოსნობის შესწავლის მნიშვნელოვანი კერაც. ამ მხრივ იგი მოგვაგონებს ხელოსანთა საკორპორაციო ორგანიზაციას (ამქარს), რომელიც ხელობა-ხელოსნობის სწავლებასა და ცოდნის გავრცელებას ხელს უწყობდა“.\*\*

როგორც „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳიმესი“-ში\*\*\* ვკითხულობთ, სხვა სახელოსნოებთან ერთად მონასტრებთან არსებობდა სახუროვნოც. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სახელოსნოებში მუშაობდნენ როგორც ქვით, ისე ხით ხუროები.

\* მესხია შ.—ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის, XI—XII ს. ქართულ მონასტრებში. მიმოძიებული, ტ. I, თბ., 1949 წ. გვ. 59.

\* მესხია შ.—იქვე, გვ. 72.

\*\* „ცხოვრებაი იოვანესი და ეფთჳიმესი“. თბ., 1914 წ.

აღორძინების საერთო ფერხულში მონუმენტურ ხელოვნებასთან ერთად მოდის დეკორატიული ხელოვნებაც. მის სახეობათა შორის თავისი წვლილი ხეზე მოხარატებულ ნიმუშებსაც უკავიათ. სწორედ ამ ხანას ეკუთვნის ჩუქულის, ჯახუნდერის, სვიფის, აცის და ქორეთის მოხარატებული კარები. ამ ძეგლთა შორის არის ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის კარიც.

ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხარატებული კარის იკონოგრაფიულმა და მხატვრულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ კარი საინტერესოა თავისი პორტრეტული (ქტიტორთა) გამოსახულებით, „აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვის“ კომპოზიციის თავისებური გადაწყვეტით. კომპოზიციების ასეთნაირად აგება-გადაწყვეტა (მისი სამ სიუჟეტად გაყოფა), ბიბლიის ტექსტის თავისებურად გადამუშავება, მისი ლაკონურ ხაზებში გადმოცემა საკმაოდ რთული საკითხი იყო შუასაუკუნეების ოსტატისათვის. კომპოზიცია განსხვავდება ამ სიუჟეტის როგორც ბიზანტიური, ისე იტალიური და სომხური ძეგლებისაგან.

ოსტატის მთავარი ყურადღება ამ ნაწარმოებში მიქცეულია სიუჟეტის შინაარსობრივ მნიშვნელობაზე, იგი წინასწარი განზრახვით ხაზს უსვამს მოქმედი პირების ამა თუ იმ ჟესტს, მისთვის საჭირო მოქმედ პირთა სხეულის ამა თუ იმ ნაწილს და საჭირო საგნებს. ვინაიდან ოსტატის ყურადღება ამ საკითხისადმი მიქცეული (ეს საკითხი ხომ ეპოქის მიერ იყო წინწამოწეული), ამიტომ ადამიანის აგებულების, სიგრძის, სიღრმის, დეტალების, მოცულობის დამუშავების, პლასტიურობის პრობლემა ჯერ კიდევ არ დგას მის წინაშე. ავტორი შესანიშნავი ანიმალისტია.

კარი მორთულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით. აქ გვხვდება ამ ორი სახის ორნამენტის ერთი და იმავე ჩუქურთმოვან არშიაში გამოყენება, რაც მეტად დამახასიათებელია ამ ეპოქის ძეგლებისათვის. ამ მცენარეულ და გეომეტრიულ სახეებს ერთმანეთთან წნული აკავშირებს. ეს დეტალიც დამახასიათებელია XI-XII საუკუნის ძეგლებისათვის.

ლაშეს კარის ორნამენტული მოტივები გავრცელებული სახეებია ქართული ხელოვნების ძეგლებზე (არქიტექტურა, ჭედურობა). ჩვენს მიერ მოტანილი პარალელები, ჩვენი აზრით, ნათლად გვიჩვენებენ, რომ ლაშეს ოსტატი ბრმად არ იმეორებს უკვე ცნობილ სიუჟეტს (კომპოზიციები იქნება იგი თუ ორნამენტული სახეები), არამედ ოსტატურად გადამუშავებული სახეებით გვაძლევს ახალ ვარიანტს.

როგორც აღნიშნული გვექონდა, თავისი ნაწარმოების პროტოტიპად ოსტატს აღებული ჰქონდა ქვაზე კვეთილობის ნიმუშები, რადგანაც ჩვენთვის ცნობილი ყველა ძეგლი, რომლის ანალოგიაც გვაქვს მოტანილი, ქვაზე კვეთილობის ნიმუშია (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ანალოგიას, რომელიც ხის სხვა მოხარატებულ კარზედაც გვაძლევს პარალელებს). ოსტატს გამოყენებული აქვს ხეზე კვეთილობის ტექნიკის ის სახეობანი, რომლებიც ქვაზე კვეთილობისათვის არის დამახასიათებელი. თუ დავაჯამებთ ძეგლის ისტორიულ-მხატვრულ ანალიზის შედეგებს და წარწერების პალეოგრაფიულ ხასიათს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ლაშვს ვანის ღვთისმშობლის მოხარატებული კარი XI საუკუნეს ეკუთვნის, მომწიფებული ფეოდალური ხანის ხის მოხარატებული კარები გამოირჩევიან როგორც მალამხატვრულნი და ტექნიკურად სრულყოფილი მრავალფეროვანი ნაწარმოებნი. შემდეგ პერიოდში ველარ ვხვდებით იმ დახვეწილი გემოვნების ხის მოხარატებულ კარებს, რომელიც მომწიფებულ ფეოდალურ ხანაში იქმნებოდა თავისი მხატვრული გემოვნებით, ლაკონიურობით, ნათელი ორნამენტითა და სახეებით, ხეზე კვეთილობის მრავალფეროვანი ტექნიკის დიდი ოსტატური გამოყენებით და სხვ. თუ ადრეული ძეგლების ანალოგიებს არქიტექტურაში ვხვდებით, გვიანდელ ძეგლებს მეტი საერთო აქვთ ხალხურ საყოფაცხოვრებო საგნებთან.

გვიანდელი დროის ხის მოხარატებული კარის სტილი, გემოვნება, შესრულების ტექნიკა განსხვავდება წინა პერიოდის ამგვარი ნაწარმოებებისაგან.\*

ქართული ხის მოხარატებულ კარს ყოველთვის ოთხკუთხი ფორმა აქვს, იგი ერთი ან ორფრთიანი (ადრეული ძეგლები უფრო მეტად ერთფრთიანი გვხვდება), მოხარატებული კარი არის ფიცრული და კარკასული ტიპის.

გაფორმების მიხედვით ვხვდებით წმინდა ორნამენტულ გაფორმებებს, სადაც არც გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტითაა დაფარული. შემდეგ გვაქვს ორნამენტებში ცხოველთა გამოხატულებანი (ფასკუნჯები ქორეთში), ორნამენტულ სახეებთან ერთად რელიეფური გამოსახულებანი (ჩუქული, ფხუტრერი და სხვ.) და კარები სიუჟეტური კომპოზიციებით (ლაშე და მაცხვარიში).

\* უხნაძე ი.—გვიანდელი ხანის ხის ქართული მოხარატებული კარი ცისკარი, 1959 წ., № 8.




ლაშეს ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის კარი




ჩუქულის კარი



ფხუტერის კარი



ჯახუნდერის კარი



სვიფის კარი


წებელდის კანკელის დეტალი



ბულდაძის სტულოს მსხვერპლ შეწირვა



ჭორეთის კარი



ოცინდალეს კარი



საგვანის კარი

ჩვენს დიად ეპოქაში „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს“. ხალხური შემოქმედება საბჭოთა ხელისუფლების ყურადღებისა და ზრუნვის შედეგად განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა.

ჩვენი მდიდარი მემკვიდრეობის გამოყენება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ნაწარმოებისათვის მოგვცემს მეტად კარგ, ლამაზ, ჩვენი დიადი ეპოქისათვის დეკორატიულ ღირსეულ ძეგლებს.

---

ს ა რ ე ვ ი

შესავალი . . . . . 5

თავი I

ლაშეს ვანის ლეთისმშობლის ეკლესიის მონარატებული კარის აღწერილობა, კომპოზიციების შინაარსი და მხატვრული ანალიზი . . . . . 11

თავი II

მომწიფებული ფეოდალური ხანის ხის ქართული მონარატებული კარები . . . 38

—————

И. В. Уznaძე

ДЕКОРАТИВНЫЙ ПАМЯТНИК XI В. ИЗ ЛАШЕ

(на грузинском языке)

Театральное Общество Грузии

Издательство „Хеловнеба“

Тбилиси—1962

რედაქტორი შ. ამირანაშვილი  
გამომც. რედაქტორი კ. გაწერელია  
მხატვარი გ. დიკო  
ტექნორედაქტორი თ. მამფორია  
კორექტორი ლ. კალანდაძე

---

გადაეცა წარმოებას 21|VII-1961 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად  
28|III-1962 წ., ანაწყოების ზომა 6X9 $\frac{1}{2}$ , ქაღალდის ზომა 60X92,  
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,5. პირობით ფორმათა  
რაოდენობა 3, 34.

შე 03635. ტირაჟი 1000. შეკვეთა 2286 ფასი 35 კპპ.

---

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა, გორკის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии ул. Горького № 3.

245/12 E

